

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნატო როდონია

სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების ზოგიერთი მეთოდის

დამუშავება

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: მშენებლობა 0406

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი.0175.საქართველო

თებერვალი. 2019 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამშენებლო ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნატო როდონაიას მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების ზოგიერთი მეთოდიკის დამუშავება და ვამღებთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი: -----2019 წ.

ხელმძღვანელი, პროფესორი

/მ. წიქარიშვილი/

რეცენზენტი, პროფესორი

/რ. იმედაძე/

რეცენზენტი, აკადემიური დოქტორი:

/ა. კაცაძე/

ნატო როდონაია

სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების ზოგიერთი მეთოდიკის დამუშავება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტი

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თებერვალი 2019 წელი

„ ინდივიდუალური პროცენტების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს“.

„ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭვდა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქციადაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას“.

ავტორის ხელმოწერა -----

რეზიუმე

საქართველოს განვითარების ამ ეტაპზე, გარდამავალ პერიოდში ადმინისტრაციულ რეფორმებით გამოწვეული სირთულე მოითხოვს საექსპერტო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკული სიტუაციის ასახვას და მის პერსპექტივას. სამშენებლო ექსპერტიზის თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება ერთის მხრივ მისი არასაკმარისი სამეცნიერო დამუშავებით, ხოლო მეორეს მხრივ იგი არის სასამართლო ექსპერტიზის ფორმირებაში მყოფი სახეობა. საექსპერტო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ გადასწყვეტი ამოცანებისა და საექსპერტო გამოკვლევას დაქვემდებარებული ობიექტის, საზღვრების განსაზღვრისა და სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების მეთოდების დამუშავება ახალ პერსპექტივას ქმნის სამშენებლო ექსპერტიზის აუცილებელი რიგი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. რაც მეტად აქტუალურს ხდის წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომს: „ სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების ზოგიერთი მეთოდის დამუშავება“ ნაშრომის მიზანია: სამშენებლო ექსპერტიზის თეორიული, სამართლებრივი და მეთოდური ასპექტების დამუშავება და ზოგიერთი მეთოდის შექმნა მოქმედი კანონების და რეგლამენტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

დისერტაციაში გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები:

- განაალიზებულია და გამოვლენილია ძირითადი პროცესუალური პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება სამშენებლო ექსპერტიზის დანიშვნისა და წარმოებისას, განისაზღვრა მათი გადაჭრის გზები;
- განისაზღვრა სამშენებლო ექსპერტიზის განვითარების გზები, პრინციპები და მშენებელ-ექსპერტის სპეციალური ცოდნის ფორმირების სპეციფიკა;
- დამუშავდა სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების ზოგიერთი მეთოდის საქართველოში მოქმედი კანონებისა და რეგლამენტების შესაბამისად, როგორცაა:
 - 1) შენობა-ნაგებობის ავარიების (რღვევის) გამომწვევი მიზეზების დადგენის მეთოდისა;
 - 2) ობიექტზე შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი და ნაჩუქრების საექსპერტო შეფასების შემოყიდვა;
 - 3) სამშენებლო ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ექსპერტიზის ჩატარების მეთოდისა.

წარმოდგენილი მეთოდების მიხედვით შესრულებულია საექსპერტო სამუშაოები და გაცემულია საექსპერტო დასკვნები. ეს ეს მეთოდები დანერგილია საერთაშორისო

სტანდარტით აკრედიტებულ საექსპერტო ინსპექტირების ორგანოში „მშენ-ქსპერტი“. დისერტაციაში მოცემულია საექსპერტო დასკვნების მაგალითები.

წინამდებარე ნაშრომი შესაძლებელია გამოყენებული იქნას ექსპერტის ოსამზადებელ კურსებზე სამსენებლო ექსპერტიზის თეორიის საფუძვლების სწავლების სრულყოფისათვის, აგრეთვე მეთოდური ლიტერატურისა და სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისათვის.

ABSTRACT

At this stage of development of Georgia, the complexity of administrative reforms in the transition period requires the introduction of the practice of legal regulation of the activities of experts and its prospects. The current state of the construction expertise is characterized by its insufficient scientific processing, on the one hand, and on the other hand, it is a type of forensic formation. Analysis of expert practice shows that the development of methods for determining the boundaries and methods of building expertise for crossing tasks and expertise will create a new perspective for successfully solving a number of tasks necessary for building expertise. The aim of the work is: to develop the theoretical, legal and methodological aspects of the construction expertise and create some methods based on the laws and rules of the applicable norms.

The thesis solved the following tasks:

- Evaluates and identifies key procedural problems arising from the appointment and preparation of construction expertise, ways to solve them;
- The ways for the development of construction expertise, the principles and features of the formation of special knowledge of the construction expert;
- Some methods of production expertise have been developed in accordance with applicable laws and regulations in Georgia, such as: 1) Methods for determining the causes of accidents (building failure);
2) Implementation of the actual and gift expert evaluation of construction works performed at the site;
3) The method of conducting an adequate examination of the valuation of the construction site.

According to the presented methods, expert work was carried out and expert opinions were issued. These methods are introduced into the expert inspection body accredited according to the international standard Construction-Webster. The thesis contains examples of expert opinions.

This article can be used to prepare the theory of thesis examination, to prepare a theoretical theorem, as well as to prepare methodological literature and a scientific thesis.

შინაარსი

ცხრილების ნუსხა.....	7
შესავალი	10
თავი I. სამშენებლო ექსპერტიზის თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვა საქართველოში და საზღვარგარეთ	
1.1 პრობლემები და ამოცანები	14
1.2 სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარების თანამედროვე მეთოდები.....	19
1.3 სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების მეთოდის შექმნის აუცილებლობა...28	
1.4 საქართველოს მთავრობის კანონმდებლობის მოთხოვნები ექსპერტიზის წარმოების მეთოდის მიმართ.....	29
თავი II. სამშენებლო ექსპერტიზის თეორიული, სამართლებრივი და ნორმატიული საფუძვლები, ექსპერტიზის წარმოების პრინციპები	32
2.1. შესავალი.....	32
2.2 სამშენებლო ექსპერტიზის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებითსახელმწიფო კანონები.....	33
2.3 სამშენებლო ექსპერტიზის ნორმატიული საფუძვლები საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და რეგლამენტების გათვალისწინებით.....	36
2.4 საექსპერტო საქმიანობის პრინციპები.....	40
2.5 სამშენებლო ექსპერტიზის ობიექტები და სუბიექტები.....	42
თავი III. სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარების ზოგიერთი მეთოდის დამუშავება საქართველოში მოქმედი რეგლამენტების გათვალისწინებით.....	51
3.1 შენობა ნაგებობების რღვევის (ავარიის) გამომწვევი მიზეზების დადგენის მეთოდიკა.....	52
3.2. ობიექტზე შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების საექსპერტო შეფასების მეთოდიკა.....	68
3.3. სამშენებლო ობიექტების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ექსპერტიზის ჩატარების მეთოდიკა.....	75
თავი IV. დამუშავებული მეთოდის პრაქტიკული გამოყენება ექსპერტიზის საწარმოებლად.....	79
4.1. ავარიის გამომწვევი მიზეზების ექსპერტიზა (ექსპერტიზის მაგალითი N1).....	79
4.2. მშენებლობაზე ფაქტიურად შესრულებული სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების ექსპერტიზის ჩატარების მეთოდიკა (ექსპერტიზის მაგალითი N2) ექსპერტიზის დასკვნა.....	80
4.3. სამშენებლო ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის	

ექსპერტიზის ჩატარების მეთოდოლოგია (ექსპერტიზის მაგალითი N3)	91
ძირითადი დასკვნები.....	100
გამოყენებული ლიტერატურა.....	101
დანართი.....	105

ნახაზების და სურათების ნუსხა

ნახ. 1.1.	სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარების მეთოდები.....	20
ნახ. 1.2	საერთო (საერთო სამეცნიერო) მეთოდები.....	22
ნახ. 1.3.	სპეციალური მეთოდები.....	25
ნახ. 2.1.	საექსპერტო საქმიანობის ძირითადი პრინციპები.....	41
სურ. 4.1.	სილოსის რღვევა.....	81
სურ. 4.2.	სილოსის რღვევის პროცესი	82
სურ. 4.3.	სილოსი.....	83
სურ. 4.4	სილოსის ცილინდრული ნაწილის დეფორმაცია	84
სურ. 4.5.	სილოსის ცილინდრული ნაწილის დეფორმაცია და რღვევა.....	85
სურ. 4.6.	დემონტირებული სილოსი.....	86
სურ. 4.7.	სილოსის რღვევის პროცესი.....	87
სურ. 4.8 .	სილოსის რღვევის შემდეგ.....	88
სურ. 4.9.	რძის გადამამუშავებელი საწარმო.....	89
სურ. 4.10	რძის გადამამუშავებელი საწარმო.....	96
სურ.4.11.	რძის გადამამუშავებელი საწარმო.....	96
სურ.4.12.	რძის გადამამუშავებელი საწარმო.....	97

Sesavali

საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტებისა და კერძო მშენებლობის ტემპების ზრდას ძალიან დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს, თუმცა ნეგატიური ასპექტებიც ახლავს. როგორცაა მშენებლობის დროს ტექნოლოგიური პროცესების, უსაფრთხოების წესების, შრომის უსაფრთხოების და დამტკიცებული პროექტის დარღვევები. ამ ყველაფერს ხშირად თან სდევს ადამიანური მსხვერპლი და მატერიალური ზარალი. ასევე სამშენებლო ფირმების თანამშრომელთა ტრამვირებისა და დაღუპვის რიცხვის მუდმივი ზრდა. როგორც სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, ამის მიზეზს წარმოადგენს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება, გულგრილობა ან ბოროტად გამოყენება.

სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების პირობების, მასალის ან კონსტრუქციის ხარისხის და პროექტის დაცვა, ასევე მშენებლობის სწორად წარმართვის უზრუნველყოფა აღარ არის შიგადადგობრივი პრობლემა და იგი ყალიბდება უმნიშვნელოვანეს საერთო სახელმწიფოებრივ გადასაწყვეტ ამოცანად. აღნიშნულის გადასაწყვეტად აუცილებელია ახალი კანონების რეგლამენტების და მთავრობის დადგენილებების მიღება, ქმედითი ღონისძიებების გატარება.

მშენებლობის ან ექსპლუატაციის პერიოდში შეიძლება გამოიყოს ავარიების და კატასტროფების გამომწვევი მიზეზები, როგორცაა:

- მშენებლობის პროცესში შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა;
- სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნათა დარღვევა;
- სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას პროექტიდან გადახრები;
- მოქმედი დატვირთვების გაზრდა საანგარიშო დატვირთვებთან შედარებით მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას, მაგალითად სართულის დაშენება, მიშენება, ფუნქციის შეცვლა და ა. შ.
- არა სწორი პროექტის დამტკიცება და განხორციელება.

ზემოთ აღნიშნული მიზეზები წარმოდგენილია განმეორებადობის სიხშირის მიხედვით. საექსპერტო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მათი გათვალისწინება და აღმოფხვრა აუცილებელია ხარისხიანი პროდუქტის მისაღებად. გამოვეყოთ უხარისხო მშენებლობის წარმოების ძირითადი მიზეზები:

- მეიჯარემ და დამკვეთმა ცუდად იციან საქართველოში მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობა;

- მრავალ სამშენებლო ფორმაში არ ფუნქციონირებს ან არა მართებულად ფუნქციონირებს ხარისხის მართვის სისტემა და არ ურთიერთობენ აკრედიტებულ ტესტირების ლაბორატორიებთან გამოყენებული მასალების ხარისხის და პროექტის შესაბამისობასთან დადგენის მიზნით;
- არ ფუნქციონირებს ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურები;
- არ ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების სამსახური ობიექტზე;

საექსპერტო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ადმინისტრაციულ რეფორმასთან, რომელიც მიმდინარეობს და საქართველოს სახელმწიფო არ იშურებს ძალისხმევას მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ასევე შეაქვს სერიოზული კორექტივები არსებული ურბანული დაგეგმვის კანონმდებლობაში.

საქართველოს განვითარების ამ ეტაპზე, გარდამავალ პერიოდში ადმინისტრაციული რეფორმით გამოწვეული სირთულე მოითხოვს საექსპერტო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკული სიტუაციის ასახვას და მის პერსპექტივას.

სამშენებლო ექსპერტიზის თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება ერთი მხრივ მისი არასაკმარისი სამეცნიერო დამუშავებით, ხოლო მეორეს მხრივ იგი არის სასამართლო ექსპერტიზის სახეობა, რომლის ფორმირებაც ეხლა მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით საჭიროებს გადაწყვეტას პროცესუალური, მეთოდური და ორგანიზებული ხასიათის მრავალრიცხოვანი პრობლემა. შრომები, რომლებიც მიემდვნა ამ პრობლემების ცალკეული საკითხების გადაჭრას განხილული იყო შემდეგი ავტორების მიერ გ. ჯაოშვილი [1], ჯ. ბახტაძე [2], რ. მახვილაძე [3], მ. წიქარიშვილი [4], ა. კაცაძე [5], ე. ბოროდინა [6] მ. ბრაინინი [7], ა. ბუტირინი [8] და სხვა.

საექსპერტო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ გადასაწყვეტი ამოცანების კლასიფიკაცია და სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების მეთოდოლოგიის დამუშავება ახალ პერსპექტივას ქმნის სამშენებლო ექსპერტიზის აუცილებელი რიგი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

ზემოთ ჩამოყალიბებული პრობლემების აქტუალობამ და არა საკმარისმა დამუშავებამ განსაზღვრა თემის არჩევა და კვლევის მიმართულება.

კვლევის საგანია სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის სისტემის და შესაბამისი კანონების ფორმირება და ფუნქციონირება. მათი სინთეზი შეადგენს სამშენებლო ექსპერტიზის თეორიული და გამოყენებითი საფუძვლების შექმნის წინა პირობას.

დისერტაციის მიზანია- სამშენებლო ექსპერტიზის თეორიული, სამართლებრივი და მეთოდური ასპექტების დამუშავება, ზოგიერთი მეთოდის სრულყოფა მოქმედი კანონებისა და რეგლამენტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

ამ მიზნის რეალიზებისათვის დასმულია შემდეგი ამოცანები:

- განხილული იქნეს საერთო მეთოდოლოგიური პრაქტიკული პრობლემები სამშენებლო ექსპერტიზის ამოცანების გადაწყვეტის დროს;
- გაანალიზდეს და გამოვლინდეს ძირითადი პროცესუალური პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება სამშენებლო ექსპერტიზის დანიშვნისა და წარმოებისას, განისაზღვროს მათი გადაჭრის გზები;
- განისაზღვროს სამშენებლო ექსპერტიზის განვითარების გზები, საქართველოში და ექსპერტ-მშენებლის სპეციალური ცოდნის ფორმირების სპეციფიკა;
- დამუშავდეს სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების ზოგიერთი მეთოდიკა საქართველოში მოქმედი კანონების და რეგლამენტების შესაბამისად;

მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ცოდნის სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ძირითად მოთხოვნებს სამეცნიერო თეორიების მიმართ, როგორცაა დიაგნოსტიკის, მოდელირების, რეკონსტრუქციის, კომპიუტერულ ტექნოლოგიების, ალგორითმიზაციისა და ავტომატიზაციის მეთოდების გამოყენება. აგრეთვე შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური და ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზა.

კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- სამეცნიერო მიღწევებისა და ფართო პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე განხორციელდა სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების თეორიული, მეთოდური და პროცესუალური დამუშავება;
- დამუშავებულია ექსპერტიზის წარმოების ძირითადი პრინციპები;
- ჩამოყალიბებულია საექსპერტო ობიექტის და სუბიექტის ძირითადი განსაზღვრებები;
- დამუშავდა ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდები, როგორცაა ა) შენობა-ნაგებობების ავარიების (რღვევის)გამომწვევი მიზეზების დადგენის მეთოდიკა: ბ)ობიექტებზე შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების საექსპერტო შეფასების მეთოდიკა: გ) სამშენებლო ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ექსპერტიზის ჩატარების მეთოდიკა.

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. დისერტაციაში გადმოცემულია სამშენებლო ექსპერტიზის სამეცნიერო და გამოყენებითი საფუძვლები, დასაბუთებულია მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობა და მოცემულია ძირითადი მეთოდები და მათი განვითარების გზები.

სამშენებლო ექსპერტიზის ძირითადი დებულებებისა და მეთოდების ცოდნა დადებით გავლენას მოახდენს ექსპერტ-მშენებლის, გამომძიებლის, მოსამართლისმუშაობის ხარისხზე ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარებისას, აგრეთვე საექსპერტო დასკვნის შეფასებისას.

დისერტაციაში წარმოდენილია სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების ძირითადი მეთოდები, რომლებიც შექმნის წინაპირობას საექსპერტო დაწესებულებებში სამშენებლო ექსპერტიზის ორგანიზაციისა და წარმოების უწყებრივ ნორმატიული რეგულირების სრულყოფისათვის, საექსპერტო კვლევის ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის ფორმირებისა და განვითარებისათვის.

წარმოდგენილი ნაშრომი შესაძლებელია გამოყენებული იქნას ექსპერტთა მოსამზადებელ კურსებზე, სამშენებლო ექსპერტიზის თეორიის საფუძვლების სწავლების სრულყოფისათვის. აგრეთვე მეთოდური ლიტერატურისა და სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისათვის.

პირადი როლი: - სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად განსაზღვრა კვლევის ამოცანები. დისერტაციის ავტორმა განმსაზღვრელი როლი შეიტანა მიღებულ შედეგებზე.

სამუშაოს აპრობაცია: მიღებული შედეგები მოსხენებული იქნა სადოქტორო პროგრამით განსაზღვრულ სამ კოლოქვიუმზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ღია საერთაშორისო სამეცნიერო 85-ე კონფერენციაზე. ასევე ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მე-2 და მე-3 საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე.

პუბლიკაციები: დისერტაციის შედეგები გამოქვეყნებულია 6 სამეცნიერო სტატიაში და 3 თეზისში.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა: დისერტაცია შედგება შესავლის, 4 თავის, ძირითადი დასკვნების და გამოყენებული ლიტერატურისაგან, იგი მოცემულია 150 ნაბეჭდ თაბახზე.

1.სამშენებლო ექსპერტიზის თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვა საქართველოში და საზღვარგარეთ

1.1. პრობლემები და ამოცანები

სამშენებლო სფეროში შესრულებული სამუშაოების არამართლზომიერად შესრულებას, დამტკიცებულ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის გამოვლენას უზრუნველყოფს მშენებელი ექსპერტი სპეციალური სამშენებლო-ტექნიკური ცოდნის გამოყენებით სამართლის საქმისწამოწყების წინასწარი გამოკვლევის სტადიაზე. ექსპერტის სპეციალური ცოდნის გამოყენებით დგინდება დანაშაულის ფაქტიური გარემოებები და დგინდება დასაბუთებული გადაწყვეტილებები სასამართლო განხილვის მსვლელობისათვის. აღნიშნული კატეგორიის საქმეების ძიების სასამართლო პრაქტიკის განზოგადება აჩვენებს, რომ ექსპერტის სპეციალური ცოდნა ყოველთვის არ გამოიყენება, იმ დროსაც კი როცა ეს ძლიერ აუცილებელია. რაც ხელს უწყობს დამნაშავეებმა თავი აარიდონ სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების გამოვლენისათვის გამოიყენებენ სპეციალური ცოდნის მქონე პირს მშენებელ-ექსპერტს, როგორც სასამართლო, ისე არასასამართლო ექსპერტიზის დროს. როგორცაა გამომძიებლისათვის საკონსულტაციო დახმარების აღმოჩენა, მათთვის სპეციალური ნორმატიული დოკუმენტისწარდგენა და ა.შ. პირველ შემთხვევაში ექსპერტის მონაწილეობაში იგულისხმება მისი, როგორც სპეციალისტის მონაწილეობა გამოძიების პროცესში, რაც გულისხმობს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლას, აზომვითი სამუშაოების ჩატარებას და ა.შ. და ბოლოს ექსპერტიზის დასკვნისმომზადებას.

პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება, მისი არასაკმარისი მეცნიერული დამუშავებით და მეორეს მხრივ ნორმატიული დოკუმენტების, რეგლამენტების და ექსპერტიზისჩატარების მეთოდისკების არასაკმარისობით. სამშენებლო ექსპერტიზა მუდმივი ფორმირების პროცესშია, იგი დინამიურად განვითარებადი ექსპერტიზის სახეობაა.

საექსპერტო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ თანამედროვე დონეზე კვლევების ჩატარებისათვის საჭიროა ცალკეული მეთოდები, გამოსაკვლევიობიექტების სპეციფიკის და მოქმედი კანონმდებლობის ნორმებისგათვალისწინებით.

სამშენებლო ექსპერტიზის განვითარებისმოცემულ ეტაპზე დაგროვილი ინფორმაცია და გამოცდილება ქმნის წინაპირობებსამ სახის ექსპერტიზის თეორიული საფუძვლის ფორმირებისათვის. დიაგნოსტიკის მეთოდების, მოდელირების, რეკონსტრუქციის, ალგორითმიზაციისგამოყენება ხსნის ახალ პერსპექტივებს სამშენებლო ექსპერტიზის ამოცანებისწარმატებული გადაწყვეტისათვის.

მოცემული ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი, ესაა ცოდნის სისტემა, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს სამეცნიეროთეორიებიდან, აგრეთვე შემეცნების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას,რაშიც იგულისხმება იურიდიული და ტექნიკურიმეცნიერებების დებულებები, რეგლამენტები და მეთოდები, რომლებიც დაკავშირებულია განსახილველ პრობლემებთან.

ნაშრომში ასახულია საქართველოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და აკრედიტებულ ექსპერტიზის ორგანოების მიერ წარმოებული სამშენებლო ექსპერტიზის პრაქტიკული მაგალითები. შესწავლილია სხვადასხვა ექსპერტების მათ შორის სამეცნიერო ხელმძღვანელის და დისერტაციის ავტორის მიერ წარმოებული 1000-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა.

სამშენებლო ექსპერტიზის საგანი და ამოცანა სხვადასხვა ცნებებია[9]. ექსპერტიზის საგანი სტატისტიკური განსაზღვრებაა. იგი განსაზღვრავს გამოსაკვლევი ობიექტებისთვისებებს, ხოლო ექსპერტიზის ამოცანა დინამიკურია. იგი გულისხმობსდამკვეთის მოთხოვნის ჩამოყალიბებას და ექსპერტიზის პროცესის მიზანშედეგობრივ მსვლელობას, რათა პასუხი გასცეს დასმულ ამოცანას.

ხშირად არსებობს ექსპერტიზის მიერ მის წინაშე მდგომი ამოცანის ვერ გადაწყვეტის პრობლემა სხვადასხვა მიზეზების გამო. დასმულ საკითხს ბევრი ავტორის მიერ დათმობილი აქვს დიდი ყურადღება. განვიხილოთ ვ.დ. არსენევის ნაშრომი [19], რომელშიც გამოყოფილია საექსპერტო ამოცანის გადაუჭრელი პრობლემები. ეს პრობლემებია:

საკითხის არასწორი დაყენება, რომელიც მეტწილად განპირობებულია ექსპერტიზის დამნიშნავი პირების არასაკმარისი ცოდნით, ასეთი მიდგომა იწვევს სამშენებლო ექსპერტიზის შესაძლებლობის და ამოცანების შესახებ მათი არასრული (ან არასწორი) წარმოდგენების ფორმირებას, როგორცაა:

- ექსპერტის კომპეტენციის საზღვრებს გარეთ გასული საკითხების დაყენება;

- საკითხის გადაწყვეტისათვის ექსპერტ-მშენებლის სპეციალური ცოდნის ან იმ სფეროს არგანსაზღვრა, რომელშიც მუშაობს ექსპერტი(ხარჯთაღრიცხვის მიმართულებით, კონსტრუქციების, საინჟინრო ქსელების და ა.შ);
- ექსპერტ-მშენებლის წინაშე შეცდომით დასმულ ამოცანებს მიეკუთვნება ისეთი საკითხები, რომლებიც შედის სხვადასხვა სპეციალობის ექსპერტისკომპეტენციაში;
- საკითხები, რომლებიც მოითხოვს კომპლექსური ექსპერტიზის წარმოებას(გეოლოგიური, კონსტრუქციული ტექნოლოგიური და სხვა.). ასეთი საკითხები არ რჩება გადაუწყვეტელი იმ შემთხვევაში თუ საექსპერტო ორგანიზაციას (ბიუროს) ყავს შესაბამისი თანამშრომლები ან შესაძლებლობა აქვს მოიწვიოს შესაბამისი სფეროს (პროფილის) ექსპერტები სხვა საექსპერტო ორგანიზაციებიდან ან ლაბორატორიებიდან;
- გამოკვლევის აუცილებელი მეთოდის არ ქონით განპირობებული გადაუწყვეტელი ამოცანების დაყენება, მაგალითად, ექსპერტ-მშენებლის წინაშე შეიძლება იყოს დასმული ამოცანა: არსებული შენობისა და ნაგებობის რღვევის და ავარიის მიზეზების დადგენა;ობიექტზე ფაქტიურად შესრულებულისამშენებლო სამუშაოს შეფასება, სამშენებლო ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენა და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი სახის საკითხების გადაწყვეტის მეთოდები დღეისათვის არ არსებობს ან გადასამუშავებელია.
- გამოსაკვლევი (საექსპერტო) ობიექტის სახასიათო თვისებების დაკარგვა.ექსპერტიზისათვის ობიექტი უვარგისი გახდება, იმ შემთხვევაში თუ მას შეუძლებელია ექსპერტის მისვლამდე მაჩვენებლები, ან ობიექტის არასაკმარისი ინფორმაციულობა. გამოსაკვლევი (ექსპერტიზის) ობიექტი შეიძლება იყოს არა საკმარისად ინფორმაციული, რადგან დასმული ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ შესწავლის შედეგად არ გამოვლინდება საკმარისი რაოდენობის ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც უზრუნველყოფს დასმული ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობას.
- გამოსაკვლევი ობიექტების უხარისხობა: თუობიექტზე კონსტრუქციებიდან აღებულია ნიმუშები ლაბორატორიული ტესტირებისათვის ისე, რომ არ არის მითითებული აღების ადგილი; ან ექსპერტიზას გადაეცა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არასრული პაკეტი და სხვა.

- საექსპერტო ამოცანების გადაწყვეტელობის ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გადაწყვეტის ძირითადი საშუალებაა შესაბამისი მეთოდის დასაყვანი და სამშენებლო ობიექტების ინფორმაციული სისტემის შექმნა.

ამოცანების სისტემატიზაცია აუცილებელია:

- ექსპერტიზის სწორად წარმართვისათვის;
- ამოცანების შერწყმა და შეკვეცა გამოსაკვლევი საგნიდან გამომდინარე;
- ექსპერტიზის დანიშნვის შესახებ განაცხადში ექსპერტიზის კითხვების ზუსტი ფორმულირებისათვის.

კრიმინალისტიკისა და სასამართლო ექსპერტიზის პრობლემების შესახებ ნაშრომებში ბევრი ავტორი როგორცაა ა.ი. ვინსბერგი ნ.ა. მალახოვსკაია და სხვებისა, ექსპერტო ამოცანების გადაწყვეტის პირველ დონედ ასახელებენ ინდენტიფიკაციას, ხოლო მეორე დონედ დიაგნოსტიკას.

[26] ნაშრომში ი.კ. ორლოვის აზრით, დიაგნოსტიკური კვლევების ქვეშ მიზანშეწონილია ვიგულისხმობთ მხოლოდ ის კვლევები, რომლებიც მიმართულია ობიექტის მდგომარეობის დადგენაზე დამტკიცებული პროექტის ან სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისობასა ან გადახრაზე, ასეთი ვიწრო განმარტებით მკაცრად განისაზღვრება ექსპერტიზის კვლევების საზღვრები, რაც გამორიცხავს სხვადასხვა ხასიათის შემეცნებით და ექსპერტის პროფესიულ მსჯელობას. ამიტომ დიაგნოსტიკური კვლევა შეესაბამება განმარტებას „ტექნიკური დიაგნოსტიკა“-„ეს არის „მუშა“ მდგომარეობიდან შესაძლო გადახრების წინასწარმეტყველებისათვის ტექნიკური სისტემების მდგომარეობის მახასიათებელი ნიშნების გამოვლენა შესწავლა“ [26]. სამშენებლო ექსპერტიზასთან მიმართებით იგი მისაღებია რადგან მისი ტერმინოლოგია შედგენილია ტექნიკური, ლოგიკური და იურიდიული განმარტებებით. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში ტერმინოლოგიის აზრობრივი არაერთმნიშვნელოვნება საკმაოდ ხშირი მოვლენაა და რაღაც თვალსაზრისით გარდაუვალიც, აუცილებელია ერთიანი ტერმინოლოგიის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს საექსპერტო საქმიანობის და მიღებული შედეგების სწორად აღქმას.

ამ საკითხში ი.კ. ორლოვის მოსაზრებების გაზიარებით, შეიძლება დაუახლოვდეს ტექნიკური და სასამართლო-საექსპერტო ტერმინები, ერთიან მნიშვნელობებს. თუ ვიქნებით თანმიმდევრულები სამშენებლო ექსპერტიზის ამოცანების კლასიფიკაციის საკითხების გადაწყვეტაში, შესაძლებელია განსახილველი საექსპერტო კვლევის დაყოფა დიაგნოსტიკურ, კლასიფიკაციურ, სიტუალოგიურ, ატრიბუტულ, კაუზალურ და ნორმატიულ ამოცანების საფუძვლად [27], თუმცა ყველა

სპეციალისტი არ იზიარებს განსახილველ საკითხის ასეთი დაყოფის მიდგომას. ლ.ბ. ბარონიამბობს რომ დიაგნოსტიკური გამოკვლევის ძლიერ დავიწროებული დაყოფის ტენდენცია საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ამოცანის სისტემატიზაცია სხვა, არსებითად ახალ დონეზე“ [21],[28], მაშინ ნ.პ. მაილისი, პირიქით ვარაუდობს, რომ „ახალი განსაზღვრებების შემოტანა; ატრიბუტული, კაუზალური და სხვა ამოცანები ეწინააღმდეგება საზოგადოდ მიღებულ თეორიულ კონცეფციებს“ [4]. ასეთი ურთიერთწინააღმდეგობების არსებობა ჩვენი მოსაზრებით, არ წარმოადგენს გადაუწყვეტელ პრობლემას, რადგან ნებისმიერი მეცნიერების განვითარების ისტორიაში ახალი თეორიული მიდგომები და ჰიპოთეზები შემდგომი განვითარების საფეხურია.

უპირატესია ყველა კატეგორიის ამოცანების ვიწრო დაყოფა, რომლის დროსაც მკაცრად განისაზღვრება მათი განსხვავების ნიშნები და კრიტერიუმები, უზრუნველყოფილი იქნება ამოცანის გადაწყვეტის დიფერენცირებული მიდგომა, ამასთან ვიზიარებთ იმ ავტორების მოსაზრებებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დეტალიზაცია არ უნდა გასცდეს გონივრულ საზღვრებს და მიიღოს ქაოტური ფორმა, რომლის დროსაც „საგნობრივი ექსპერტიზის დიფერენციაციას, შესაბამისად, სპეციალური საექსპერტო მემცნებები მიყავს სამეცნიერო ცოდნის განცალკევებასთან, ექსპერტიზის სხვადასხვა სახეობების ერთმანეთისგან იზოლაციასთან“ [21].

სამშენებლო ექსპერტიზის კვლევის პროცესი ამოცანების ერთობლიობაა, იგი შედგება საერთო ამოცანის დაქვეამოცანების თანმიმდევრობისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთოს გადაწყვეტას. საერთო ამოცანის ფორმულირებას ახდენს დამკვეთი (ობიექტის მფლობელი), კერძო ამოცანებისას კი თვით ექსპერტი. სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარებისას გადასაწყვეტი საერთო ამოცანები შეიძლება ექვს ჯგუფად გაერთიანდეს[5]:

1. კლასიფიკაციური;
2. დიაგნოსტიკური;
3. კაუზალური;
4. ნორმატიული;
5. გარდამქმნელები;
6. ღირებულებითი.

აგრეთვე უნდა გამოვყოთ ქვეამოცანები, რომელთა გადაწყვეტამიმართულია შუალედური შედეგის მიღწევაზე: ეგზისტენციალური, ატრიბუტული და სიტუალოგიური.

სამშენებლო ექსპერტიზის საგანი განსაზღვრავს ძირითადქვეამოცანებს, რომლებიც უნდა გადაწყდეს სამშენებლო ექსპერტიზის წარმოებისას. სამშენებლო ექსპერტიზის საგანი ესაა მშენებლობის სფეროში სპეციალური ცოდნის საფუძველზე საკვლევი სამშენებლო ობიექტის ფაქტიური (ფაქტები, გარემოებები, ფაქტობრივი) მონაცემების დაკვეთა სასამართლო ან არა სასამართლო წესით. ასეთი გარდაქმნის ვარიანტებისამშენებლო ექსპერტიზის საგანში შედის შესრულებული სამუშაოების, კონსტრუქციის დამზადების შესაბამისობის ფაქტის დადგენა მოქმედ სამშენებლო ნორმატივებთან და ტექნიკურ რეგლამენტებთან, დადგენილი წესით დამტკიცებულ პროექტთან.

მსგავსი ექსპერტიზების წარმოების ერთიანი სამეცნიერო-მეთოდური მიდგომისუზრუნველყოფის მიზნით საექსპერტო დაწესებულებებში უნდა იყოს დამტკიცებული ექსპერტიზების სახეობებისჩამონათვალი, რომლებზეც გაწერილი უნდა იყოს შესაბამისი მეთოდები და პროცედურები.

სამშენებლოექსპერტიზა ხორციელდება დამტკიცებული მეთოდებისა და პროცედურების,წარმოდგენილი მასალებისა და დოკუმენტაციის, მოქმედი სტანდარტების, ნორმებისა და წესების შესაბამისობის დადგენის მეთოდით.

ყველაზე გავრცელებულ საკითხებს, რომლებიც დაისმება მშენებელ-ექსპერტის გადასაწყვეტად, წარმოადგენსშემდეგი ექსპერტიზის საკითხები:

1. შენობა-ნაგებობების ავარიის გამომწვევი მიზეზების დადგენა;
2. შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების მიღების და ანგარიშგების სისწორის ექსპერტიზა;
3. სამშენებლო-სამონტაჟო ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა;
4. სამშენებლო ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ექსპერტიზა;
5. უძრავი ქონების ექსპერტიზა.

1.2 . სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარების თანამედროვე მეთოდები

სამშენებლო ექსპერტიზის, ისევე როგორც სხვა სახეობის ექსპერტიზების წარმოება შეიცავს: „ შემეცნების პროცესს- მოძრაობა შეუცნობელი და იმ ფაქტორების შეცნობისკენ, რომელთა გამოყენება აუცილებელია მტკიცებულებების სახით „ [9].

მრავალი მეცნიერი მუშაობდა საექსპერტო მეთოდოლოგიის შემუშავების პრობლემებზე. მათ შეიმუშავეს საექსპერტო კვლევებისას გამოყენებული მეთოდების

კლასიფიკაცია წარმოადგენს ა. კაცაძის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას დიალექტიკური, ლოგიკური, საერთო და სპეციალური მეთოდები, რომელთა გრაფიკული გამოსახვა წარმოდგენილი გვაქვს სურათ 1.1-ზე


ექსპერტიზის წარმოებისას გამოყენებული ლოგიკური და დიალექტიკური მეთოდები ტრადიციულია და აერთიანებენ შემდეგ ქვემეთოდებს: ანალიზი, სინთეზი, დედუქცია და ა. შ [5] განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ანალიზი- როგორც კვლევის მეთოდი გულისხმობს ნებისმიერი სირთულის მოვლენის დაყოფას მარტივ შემადგენელ ნაწილებად და მათ ანალიზს ცალ-ცალკე და მერე გაერთიანებას;

სინთეზი- მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება, ანალიზი და სინთეზი შემეცნების ფორმებია, რომლებიც გამოიყენება ექსპერტ-მშენებლის კვლევების დროს.

კვლევის შემდეგი ეტაპია გამოვლენილი ნიშნების ცალკეული შედეგების სინთეზი, რაც საშუალებას იძლევა ექსპერტიზის ობიექტზე წარმოდგენის შექმნას.

საექსპერტო შემეცნების პროცესში ფაქტების ანალიზიდან სინთეზზე გადასვლა ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით. ერთ-ერთი მათგანია ინდუქცია, ვიწრო გაგებით ინდუქციის ქვეშ იგულისხმება „ცალკეული ფაქტორების ცოდნიდან საერთო, ემპირიულად გავრცობილ ცოდნაზე გადასვლა და საერთო მდგომარეობის დადგენის მეთოდი“ [10]. მათი მეშვეობით მიღებული საერთო ცოდნა იძენს სავარაუდო ხასიათს.



სურ. 1. 1. სამშენებლო ექსპერტიზის მეთოდების კლასიფიკაცია
განვიხილოთ თითოეული მეთოდი:

რაც შეეხება **დედუქციას** იგი გულისხმობს აუცილებელ გამოკვლევას- ექსპერტის მიერ ლოგიკური მსჯელობით ჭეშმარიტებამდე მისვლა. ინდუქციის „პროდუქტი“ არის სავარაუდო ცოდნა, ხოლო დედუქციას ექსპერტი მიჰყავს სარწმუნო ცოდნის მიღებამდე. მაგალითად, შენობის ნაწილის ჩამონგრევის საქმის ექსპერტიზა, რომელმაც გამოიწვია რამოდენიმე ადამიანის სიკვდილი, საქმის მასალების შესწავლის სტადიაზე ექსპერტის მიერ განსაზღვრული უნდა იყოს მომხდარის რამოდენიმე სავარაუდო მიზეზი.

განვიხილოთ საერთო-სამეცნიერო მეთოდები, რომლებსაც წამყვანი როლი უჭირავთ სამშენებლო ექსპერტიზის დროს და შემოთავაზებულია შემდეგი ბლოკ-სქემის სახით (სურ 1.2.-ზე).

დაკვირვება- ნებისმიერი დაკვირვების საფუძველში დევს ექსპერტის უნარი აღიქვას შესასწავლი საგნების მგრძობელობითი სახე. ის დამოკიდებულია:

- დასაკვირვებელი ობიექტის მახასიათებლებზე;
- ექსპერტის მგრძობელობითი ორგანოებისაღქმის ეფექტურობაზე;
- ექსპერტის პროფესიული მომზადების დონეზე;
- გამოკვლევის ინსტრუმენტების და მოწყობილობების სიზუსტეზე;
- ექსპერტის მიერ გამოსაკვლევი ობიექტის შესწავლის მიზნით ვიზუალური დათვალიერება ექსპერტიზის წარმოების განუყოფელი ნაწილია.

ექსპერტის მიერწარმოებულიდაკვირვებაუნდა წარიმართოს დასმული ამოცანიდანგამომდინარედა უნდაატარებდესგეგმაზომიერ,სისტემატურხასიათს[37].

შენობისდათვალიერებისდაცვეთისცალკეულინიშნებისგამოვლენისპროცესშიექსპერტიადგენს, მისიმდგომარეობისსაერთოსურათს.გამოკვლევისშემდგომეტაპებზელაბორატორიული და ინსტრუმენტალური დიაგნოსტიკის მეთოდებისგამოყენებით,ექსპერტიახდენსუშუალოვიზუალურიღქმისკონკრეტიზებ ასდაწერს საბოლოო დასკვნას.

აღწერისქვეშეგულისხმობენგამოსაკვლევიობიექტისმახასიათებლების აღწერას.

ესშეიძლებაიყოსძირითადიდადგენილინიშნები,

რომელთაცაქვთმნიშვნელობამოცემულიკვლევისათვის.

განასხვავებენდაზუსტებულდა


ზოგადააღწერას.

დაზუსტებულშიიგულისხმებაისეთიაღწერა,

რომელიც ხორციელდება ექსპერტის მიერ დაკვირვებიდან მიღებული შედეგების გამყარებისათვის.

ზოგადი აღწერის სახორციელებს ექსპერტი, მაგრამ შეიცავს საკვლევ ობიექტის ნიშნებს, რომლებიც გამოვლენილი იქნას ხვა ექსპერტის მიერ გამოკითხვით ობიექტის ისტორიის შესწავლით [38].

გამოსაკვლევ ობიექტის დათვალიერების შედეგები ექსპერტის მიერ დაწვრილებით აღწერილი უნდა იყოს ექსპერტიზის დასკვნის კვლევით ნაწილში. დათვალიერების შედეგების აღწერის გარდა, ექსპერტი ასრულებს გრაფიკულ ნაწილს (გამოხაზავს გეგმებს და სქემებს), აფიქსირებს ფოტო და ვიდეო გადაღებას, შესაბამისი თარიღის მითითებით ფოტოებზე, ხდება მათი იდენტიფიკაცია და ექსპერტიზის დასკვნას თან ერთვის დანართის სახით.



სურ 1.2 საერთო სამეცნიერო მეთოდების ბლოკ -სქემა.

შედარება-ესააორიანმეტიობიექტისპარამეტრების და
 თვისებებისურთიერთშედარება.

გამოკვლევისესმეთოდისაშუალეხასიძლევაგამოვლენილიიქნესსაერთოდაგანსაკუთრ
 ებული პარამეტრები და თვისებები,
 ასევეგანსაზღვროსმათიგანსაკუთრებულებებიდამსგავსებები.იგიგამოიყენებაშედარ
 ებისათვის და აუცილებელია მინიმუმორიობიექტისარსებობა.

მოდელირებასმიმართავენ, მაშინ,
 როდესაცობიექტზექსპერიმენტისჩატარებაშეუძლებელია, ანარ არის
 მიზანშეწონილიდააუცილებელიაშესაბამისიმოდელის ექსპერიმენტული გამოცდა.
 ექსპერიმენტულიმოდელისშექნისას აუცილებელი პირობაა
 მისიმსგავსებაორიგინალთან, რაც მკაცრად უნდა იყოს დაცული.

სამშენებლო ექსპერტიზაში მეტადგავრცელებულია მოდელირების მეთოდი, ან რიცხვითი ექსპერიმენტის ჩატარება. ექსპერტის მიერ შედგენილი მოდელები და ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტები უნდა გახდეს საექსპერტო დასკვნის განუყოფელი ნაწილი. მათი სიზუსტიდან გამომდინარე, მათი არსებობა საექსპერტო დასკვნას ანიჭებს დამატებით სარწმუნოებას დამატკიცებელ ძალას.

ავარიებთან და რღვევებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამშენებლო ექსპერტიზის წარმოებისას ექსპერტის აკმარის ადგილი რადიხორციელებს მოდელირების შედეგებს. შენობის (ნაგებობის) დამისი ცალკეული ელემენტების რღვევის მიზეზების დაპირობების განსაზღვრისას, ექსპერტმა ექსპერტიზის დასკვნაში ილუსტრირება უნდა მოახდინონ შესაბამისი სქემებით.

პროგნოზის გაკეთებისათვის კვლევების ჩატარებისას (მაგალითად, შენობის შემდგომი ექსპლუატაციის შესაძლებლობის დადგენისთვის) ექსპერტმა უნდა ჩაატაროს სამოწმებელი ანგარიში (კომპიუტერული პროგრამით ან ხელით) ფაქტიური პარამეტრების გათვალისწინებით, რათა მოდელირებაში შემოქმედდეს, თუ როგორ მოქმედებენ კონსტრუქციები რეალობაში.

იდეალიზაცია ათვალისწინებს იდეალური (ვირტუალური) ობიექტების შექმნას და შესწავლას.

ამ მეთოდის მნიშვნელობა სამშენებლო

ექსპერტიზისთვის განპირობებულია ექსპერტის მიერ გადასაწყვეტი ამოცანების

სპეციფიკიდან გამომდინარე. შენობა, ნაგებობა, სამშენებლო მოედნის ტერიტორია ექსპერტს შეუძლებელია წარედგინოს კამერალურად, ამიტომ მათი გამოკვლევა მიმდინარეობს ორეტაპად:

1. ადგილზე შესწავლა,

საქმისათვის მნიშვნელოვანი ძირითადი პარამეტრების დაფიქსირებით;

2. ობიექტის სრულყოფილი აღქმა,

როდესაც მთლიანი ინფორმაცია გარდაიქმნება სრულყოფილად. ჩანაწერების,

ესკიზების, აზომვების და გაზომვების

შედეგების შესწავლისას ექსპერტი ავსებს ინფორმაციას მთლიანად გამოსაკვლევი ობიექტის შესახებ და წარმოედგინას იმდენ ექსპერტისთვის ობიექტისთვის ებებზე.

ამრიგად, იდეალური ობიექტების შექმნა დამათი შესწავლა სამშენებლო ექსპერტიზაში გამოყენებული მეთოდების სისტემის აუცილებელი ელემენტია, რისთვისაც ექსპერტს უნდა ჰქონდეს აბსტრაქციული აზროვნების უნარი,

რაც საშუალებას მისცემს გამოკვლევის პროცესში ადვილად გადავიდეს მატერიალურის ფეროდანი დეალურში და პირიქით.

ფორმალიზაციის იდეამ დგომარეობს განსაზღვრებების სპეციალურის იმბოლოებით დანიშნებით. ცოდნის ფიქსაციისათვის ფორმალიზაცია იძლევა ერთიანი ტერმინების შექმნის საშუალებას. ეს მეთოდის ამშენებლო ექსპერტიზაში გამოიყენება გამოსაკვლევი ობიექტების (შენობის, ნაგებობის, მათი ელემენტების, სამშენებლო მოედნის და ა.შ.) საექსპერტო და თვალთვალის შედეგების ფიქსაციისთვის, ცალკეული ელემენტების ურთიერთგანლაგების აღნიშვნისათვის და ა.შ. ამასთან გამოიყენება აღნიშვნები, რომლებიც აღიარებულია შესაბამის ტერმინთა განმარტებებში. ექსპერტიზაში მეთოდს ძირითადად იყენებს გამოკვლევის შედეგების სანახაობრივი, ნათელი, ადვილად გასაგები და ადვილად აღსაქნელი, რომ გახდეს არასპეციალისტისათვის, სასამართლო პროცესის მონაწილეთათვის.


საერთოსამეცნიერო მეთოდების ჯგუფს მიეკუთვნება – **მათემატიკური** მეთოდები, რომელიც შეიცავს გამოთვლებს. ძირითადად ეს მეთოდები შედგება სხვადასხვა სპეციფიკური ხერხებისაგან, რაც საშუალებას მოგვცემს მინიმუმამდე დავიყვანოთ სუბიექტური შეხედულებები დამიღწეული იქნეს მაქსიმალურად უსუბიექტო შედეგები. რაც შეეხება გამოთვლების ხერხების გამოყენებას, მათი გამოყენებას ამშენებლო ექსპერტიზის წარმოებაში აუცილებელია.

გაზომვებთან მჭიდრო კავშირშია საერთოსამეცნიერო მეთოდი – **გეომეტრიული აგება**. გეგმის, ჭრილის, ნების მიერის ქემის გამოხაზვა წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას შემთხვევის ადგილის გარემოების ფიქსაციისათვის. გეგმანათელ წარმოადგენს იმდროს აგების, გამოსაკვლევი ობიექტების სხვადასხვა ნიშნების ურთიერთგანლაგების შესახებ, გეომეტრიული აგება უნდა განხორციელდეს ექსპერტის მიერ ჩანაწერების ფურცელზე, რომელიც უნდა იყოს იდენტიფიცირებული.

გრაფიკული ნაწილი იმდროს შეიცავს გამოსაკვლევი ობიექტის გეგმებს და ჭრილებს, ესკიზებს და ნახაზებს. აუცილებელია ექსპერტის მიერ შესრულდეს ობიექტის ადგილის ესკიზი, რაც ნათელ წარმოადგენს იმდროს იმპროვიზებულზე, რომლებმაც გამოიწვია ექსპერტიზის დანიშვნა.

საქსპერტო პრაქტიკაში აქტიურად იწერება **კიბერნეტიკული მეთოდები**. ახალისაინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებას იძლევა განხორციელდეს საჭირო ინფ

ორმაციის მოძიება და ავტომატიზირებული დამუშავება; ასევე ფართოდ გავრცელებული ამათემატიკური, ფიზიკური და რიცხვითი კომპიუტერული მოდელები.
 სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარებისას დიდი როლი ენიჭება **სპეციალურ მეთოდებს**, როგორცაა: ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური, საანგარიშო და ფოტოგრაფირება, რომელიც ბლოკ-სქემის სახით მოცემულია სურ 1.3-ზე.



სურ 1.3. სპეციალური მეთოდები

მოცემულ შემთხვევაში სპეციალური მეთოდებში იგულისხმება მეთოდები, რომელთა გამოყენების სფერო გულისხმობს ერთიან რამოდენიმე სამეცნიერო მიმართულების გამოყენების ერთობლიობას. საექსპერტო პრაქტიკაში ფართო გამოყენება ჰპოვა, ქიმიურმა და ფიზიკურ-ქიმიურმა მეთოდებმა.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ექსპერტები ხშირად აფასებენ შენობების და ნაგებობების ტექნიკურ მდგომარეობას მხოლოდ ვიზუალურად და თვალყურით ხილული დეფექტების და დაზიანებების მიხედვით, ნატურაში ინსტრუმენტალური ან ლაბორატორიული პირობებში გამოსაკვლევი კონსტრუქციის და მასალების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების განსაზღვრის გარეშე. ასეთი მდგომარეობაში რადმივყავართ არასაკმარისად სარწმუნო შედეგებამდე, მითუმეტეს შენობის და ნაგებობის კონსტრუქციების მზიდან არიანობის რესურსის დადგენისას.

ხშირადექსპერტისწინაშეისმებასაკითხებიდაკავშირებულინაგებობის (მისინაწილების) აგების (რეკონსტრუქციის) სიძველესთანდაკავშირებით. მათიგადაჭრასაექსპერტოგზითპრაქტიკულადშეუძლებელია, მიუხედავადიმისა, რომმეცნიერებისდატექნიკისთანამედროვეგანვითარებითხანდახანშეიძლებაგანისაზღვროსზოგიერთისამშენებლონაკეთობისასაკვი. თუმცაესერთიდაიგივეარარის: ნაკეთობის`სიცოცხლისხანგრძლივობა`შეიძლებაამნიშვნელოვნადაჭარბებდესნაგებობის`ასაკვ`, რადგანაც`ახალი`მშენებლობისასხშირადიყენებენ`ძველ`სამშენებლომასალებსადანაკეთობებს. საჭიროინფორმაციაშეიძლებაამიღებულიიქნესმხოლოდიმმასალებისდანაკეთობებისგამოკვლევით.

ექსპერტისმიერგამოკვლევისჩატარებისასფართოდგამოიყენებასაანგარიშოშემოთხედები, რომლებიცშემუშავებულიასპეციალურიდისციპლინისფარგლებში, მაგალითადსამშენებლომექანიკა, ნაგებობათათეორია, პლასტიკურობისთეორია, ცოცვადობის თეორიადაა.შ.,რომელთადახმარებითაცგანისაზღვრება შენობის ანნაგებობის მდგრადობისსაიმედოობა.

სამშენებლო ექსპერტიზის წარმოებისასგამოყენებულსპეციალურმეთოდებსმიეკუთვნებაფოტოგრაფირება.

ნახაზებისგან განსხვავებითფოტოგრაფიაუზრუნველყოფსობიექტის წარმოსახვისსისრულისმაღალხარისხს, სხვადასხვა

გარემოებებზედამოკიდებულელებითგამოიყენებაშემდეგისახისფოტოგადაღება:

- **მაორიენტირებელი**, რომლებიც პანორამული გადაღებითნათლადწარმოადგენენობიექტის მასშტაბებსდახასიათს.
- **მიმოხილვითი**—გამოიყენებაგამოსაკვლევიობიექტისცალკეულიელემენტებისმდგომარეობისფიქსაციისათვის, რაც უფრო აუცილებელია დარღვევების დასაფიქსირებლად.
- **კვანძური**—იმდაზიანებულიუბნებისფოტოფიქსაციისათვის, რომლებიცმეტადმნიშვნელოვანიაგამოსაკვლევიობიექტისმდგომარეობისდახასიათებისათვის.
- **დეტალური**—დაზიანებულიკონსტრუქციებისდეფექტების, ბზარების, დეფორმაციებისდასხვა ცალკეულიკონსტრუქციებისფრაგმენტებისფიქსაციისათვის.

როდესაც

გამოკვლევისთვისარსებითიმნიშვნელობააქვსგამოსაკვლევიობიექტებისმეტრულმახასიათებლებსუნდაჩატარდესმასშტაბურიფოტოგადაღება.თუსაჭიროამიღებულისიქნეს

ოცულობითი გამოსახულება, მიზანშეწონილია ჩატარდეს სტერეოფოტოგადაღება, მიკროსკოპული დეფექტების დაფიქსირებისთვის უნდა განხორციელდეს მიკროფოტოგრაფირება.

ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით უპირატესობას ფლობს ციფრული ფოტოგრაფია. რაც უზრუნველყოფს ძნელად შესამჩნევ დეფექტების დაფიქსირებას. ფოტოები დავიდეოებისა ექსპერტო დასკვნებს თან ერთვის და ნართების სახით, დამათი განუყოფელი ნაწილია.

სამშენებლო ექსპერტიზის წარმოებისას, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევის მეთოდების რეპროდუქციულ და ევრისტიკულ მეთოდებად აყოფას.

რეპროდუქციული მეთოდები ითვალისწინებს ექსპერტის მიერ ჩატარებულ ქმედებებს კვლევებს და მათი ჩატარების მიმდევრობას. რეპროდუქციული მეთოდები თავის მხრივ იყოფა ალგორითმულ და ხარისხობრივ-აღწერ ქვემეთოდებად. ალგორითმული მეთოდები განსხვავდება იან ხარისხობრივ-აღწერითისაგან ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტის ქმედებების მკაცრად განსაზღვრული მიმდევრობით. ალგორითმის ქვეშიგულისხმება "ზუსტად ფორმულირებული წესები, რომელთა დანიშნულებაა – იყოს ხელმძღვანელი აუცილებელი შედეგის მიღწევისათვის" [39].

ევრისტიკული მეთოდები გულისხმობს ექსპერტის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ექსპერტიზის წარმოების პროცესში თვით ექსპერტის მიერ ამიგნებული [40].

ევრისტიკული მეთოდები ექსპერტის ინტუიციასა და აზროვნებაზეა დამყარებული. მათი გამოყენება შეიძლება გამოკვლევის გარკვეულ ეტაპებზე, ხოლო საექსპერტო გადაწყვეტა არ შეიძლება დაფუძნებული იქნეს ევრისტიკაზე, ან დასკვნა იქნება სავარაუდო ხასიათის.

შემდეგ საკითხს წარმოადგენს ექსპერტიზის წარმოების სისტემა, რომლის მიხედვითაც ხდება ექსპერტ-მშენებლის მიერ გადასაწყვეტი ამოცანების და ექსპერტიზის წარმოების წარმართვა. ექსპერტიზის ყველა სახეობა, ფლობს საერთო ნიშნებს, რაც საშუალებას იძლევა სამშენებლო ექსპერტიზის ნების მიერ ამოცანის გადაწყვეტის სტრუქტურა

ჩამოყალიბებული იქნეს მიმდევრობითი ქმედებების (სტადიების) სისტემების სახით.

პირველ) სტადიაზე, რომელსაც მოსამზადებელი სტადია ეწოდება ღებულობს დავალებას ექსპერტ-მშენებელი, გაეცნობა დასმულ კითხვას, რომელსაც უნდა გასცეს პასუხი.

მეორე სტადიაზე ექსპერტიზის წავლის საქმის მასალებს, ადგენს ექსპერტიზის წარმოებისათვის მონაცემების საკმარისობის საკითხს. ექსპერტ-მშენებლები ექსპერტ-კრიმინალის ტების განგანსხვავებით ერთდროულად ვერილებენ და ვერ შეისწავლიან როგორც საქმის მასალებს, ისე საგნობრივ მტკიცებულებებს. რის გამოც, მიღებული მონაცემების საკმარისობის საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვანი ნაწილია.

მესამე სტადიაზე გადაწყდება საკითხი, თუ რომელი მეთოდებია გამოსაყენებელი რეპროდუქციული, თუ ევრისტიკული, ვიზუალური და თვალსაზრისით საკმარისი თუ ინსტრუმენტალური მეთოდებია საჭირო და ა.შ. ყოველივე ეს განსაზღვრავს გამოკვლევის გეგმას, ექსპერტიზის ჩატარების დროს და ღირებულებას.

1.3 სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების მეთოდების შექმნის აუცილებლობა

არსებობს „საექსპერტო მეთოდიკის“ ცნების რამდენიმე განსაზღვრება [20]. ზოგადად, სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების მეთოდიკა არის გამოსაკვლევი ობიექტის შესწავლის თანმიმდევრობა ექსპერტიზის წინაშე დასმულ ამოცანაზე პასუხის გაცემის მიზნით. მეთოდიკა ჩამოყალიბებული უნდა იყოს სამშენებლო ექსპერტიზის შემეცნების მეთოდების, სამშენებლო სფეროში, დიაგნოსტიკაში და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, მეცნიერული მიღწევების და მოქმედი საკანონმდებლო და სამშენებლო ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით. იგი უნდა იყოს მკაცრად გაწერილი ფუნდამენტურ ექსპერტიზის მეთოდებზე და პრობლემების გადაჭრის საშუალებებზე დაყრდნობილი ერთობლიობის სისტემური თანმიმდევრობა.

სამშენებლო ექსპერტიზის მეთოდოლოგია შეიძლება იყოს: ზოგადი, კერძო და კონკრეტული.

ზოგადი მეთოდოლოგია აღწერს სამშენებლო საექსპერტო კვლევის ტექნოლოგიას და საერთოა ყველა სახის ექსპერტიზებისათვის.

კერძო მეთოდოლოგია- შექმნილია ინდივიდუალურად, ცალკეული სახის ექსპერტიზის კერძო კონკრეტული სიტუაციისათვის, მაგალითად, სამშენებლო ექსპერტიზისთვის.

კონკრეტული მეთოდიკა გამოიყენება კონკრეტული სამშენებლო ექსპერტიზის წარმოებისათვის და იგი ადაპტირებულია ცალკეული სამშენებლო ექსპერტიზის გარკვეულ ამოცანებზე.

წინამდებარე ნაშრომში ავტორის მიერ შემოთავაზებული სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარების მეთოდიკები მიეკუთვნება კერძო მეთოდიკის სახეს. იგი შეიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს და ამავდროულად გამოიყენება სამშენებლო ექსპერტიზის გარკვეულ ვიწრო სფეროებში გამოსაყენებლად.

1.4. საქართველოს მთავრობი კანონმდებლობის მოთხოვნები ექსპერტიზის წარმოების მეთოდიკის მიმართ

კანონმდებლობის მოთხოვნები ზოგადად ექსპერტიზის და კერძო სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების მეთოდიკის მიმართ განისაზღვრება ძირითადი პროცესუალური ნორმებით, რომლებიც დადგნილია საქართველოს სისხლის სამართლის და საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსებში ექსპერტიზის მიმართ.

საქართველოს სამართალწარმოება აყენებს შემდეგ მოთხოვნებს ექსპერტიზის დასკვნის მიმართ.

1) სისრულე- ყველა ნიშნების მითითება; ყველა დასმული საკითხის გამოკვლევა; პასუხის გაცემა ყველა დასმულ კითხვებზე; გამოკვლევაზე წარმოდგენილი ყველა ობიექტის შესწავლა; ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებული ყველა მასალების გამოკვლევა; საჭირო მეთოდიკების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ გამოკვლევის სისრულეს;

2) ობიექტურობა- ობიექტურად არსებული სპეციალური ცოდნის გამოყენება; ობიექტური მიდგომა გამოკვლევის მიმართ; მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკების გამოყენება;

3) ყოვლისმომცველობა-ობიექტის შესწავლა ყველა მხრიდან, მათ შორის საექსპერტო ინიციატივა;

4) უტყუარობა- ექსპერტიზის დასკვნა შესაბამისობის (დადგენილი ფაქტის შესაბამისობა დამადასტურებელი საგნის მიმართ) შემოწმების შესაძლებლობა; ხელმისაწვდომობა;

ექსპერტიზის დასკვნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები წარმოდგენილი ნუსხა განსაზღვრავს მოთხოვნების ჩამონათვალს საექსპერტო მეთოდის მიმართ, რომლის გამოყენებითაც იგი გაიცემა. საექსპერტო მეთოდის უნდა უზრუნველყოს გამოკვლევის სისრულე, იყოს მეცნიერულად დასაბუთებული, ყოველმხრივ გამოიკვლიოს ობიექტი და უზრუნველყოს ექსპერტიზის დასკვნის უტყუარობა, პასუხობდეს კანონიერების მოთხოვნებს, იყოს უსაფრთხო, ეფექტური, ეკონომიური, ეთიკური დასაშვები.

საქართველოს კანონმდებლობა არ ზღუდავს კვლევის მეთოდების შერჩევაში განმსაზღვრელ ფაქტორს. ამა თუ იმ მეთოდის შეფასებისას დასაშვებობაზე წარმოადგენს მეცნიერული დასაბუთება და მეთოდის დაკმაყოფილება თანამედროვე სამეცნიერო ტექნოლოგიების სფეროში უახლესი მიღწევებით[3]. სამშენებლო სფეროში, მრავალი სხვა სახის კლასიკურ ექსპერტიზებისგან განსხვავებით, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება ძალიან სწრაფად ხორციელდება, რაც სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარების ადრინდელი მეთოდების მოძველების საფუძველია. ძალიან მნიშვნელოვანი ხდება ექსპერტის სამეცნიერო და პროფესიონალური დონე. ასევე პირადი გამოცდილება სამშენებლო ექსპერტიზის დარგში.

სამშენებლო ექსპერტიზის მეთოდების გამოყენების საიმედოობა, ასევე დამოკიდებულია ექსპერტიზისადმი მათ უსაფრთხოებაზე, გამოკვლევის ობიექტზე გავლენის ხასიათით, შედეგების მიღების დროზე.

სამშენებლო ექსპერტიზის მეთოდები უნდა იყოს ეფექტური და რენტაბელური ისინი უნდა იძლეოდნენ გამოკვლევის ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობას ოპტიმალურ ვადებში უმაღლესი საიმედოობით.

სამშენებლო ექსპერტიზის ობიექტებს წარმოადგენენ; „ ნივთმტკიცებები, რომლებიც სასამართლო დავის დროს უშუალოდ პრინციპის თანახმად, უნდა იქნეს უცვლელად წარდგენილი სასამართლოში“ ამასთან დაკავშირებით, უპირატესობა ენიჭება გამოკვლევის ჩატარებისას ურღვევით მეთოდების გამოყენებას. სამშენებლო ექსპერტიზის მეთოდურ უზრუნველყოფაში შეიძლება გამოყენებული იქნას მეთოდების შემდეგიდაყოფა, გამომდინარე ობიექტის შენარჩუნების ხარისხიდან

- 1) შენობა-ნაგებობების გამოკვლევის მეთოდები, რომლებიც არ ახდენენ არანაირ გავლენას სამშენებლო ექსპერტიზის ობიექტზე;
- 2) შენობა-ნაგებობების გამოკვლევის მეთოდები, რომლებიც არ აზიანებენ სამშენებლო ექსპერტიზის ობიექტს, მაგრამ ცვლიან მის შემადგენლობას და სტრუქტურას;

3) შენობა-ნაგებობების გამოკვლევის მეთოდები, რომლებიც არ აზიანებენ ნიმუშს, მაგრამ მოითხოვენ მის დასამზადებლად ობიექტიდან ნიმუშის ამოჭრას.

სამშენებლო ექსპერტიზის ამოცანები და ობიექტების ნუსხა საკმაოდ არაერთგვაროვანია. ეს ფაქტი განაპირობებს საექსპერტო მეთოდების და საშუალებების დიდ რაოდენობას. ავტორის მიერ დეტალურად იქნა განხილული სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების მთელი რიგი მეთოდები, რომლების უმეტესობა გადასამუშავებელია, მოსაყვანია საქართველოს ახლანდელ მოქმედ კანონებთან სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობაში.

გარდა სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების ძირითადი მეთოდიკებისა, რომლებიც განხილულია ავტორის მიერ, გამოკვლეული იქნა სამშენებლო ექსპერტიზაზე დიდი რაოდენობით სამშენებლო ტექნიკური ლიტერატურა, სადისერტაციო ნაშრომებში აღწერილი სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების საავტორო მეთოდიკები, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად არის დაკავშირებული სამშენებლო ექსპერტიზის წარმოებასთან.

ჩატარებული ანალიზის შედეგად გაკეთდა შემდეგი დასკვნა :

1) სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების არსებული მეთოდიკები სრულად ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას.

2) სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების ბევრ მეთოდიკაში გამოყენებულია პოპულარული მიდგომები;

3) სამშენებლო ექსპერტიზის მეთოდიკების ნაწილი შეიცავს არსებით შეცდომებს ან მოძველებულია;

4) სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების ახალი მეთოდიკების შექმნა სხვადასხვა მიმართულებით, როგორცაა: შესრულებული სამუშაოების ფაქტიური დანახარჯების დადგენა, სამშენებლო ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენა, სამშენებლო ობიექტის ავარიის მიზეზების დადგენა და სხვა, მეტად აქტუალური და აუცილებელია;

5) სამშენებლო ექსპერტიზის წარმოების ახალი მეთოდიკის შექმნისას უნდა იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი და უცხოელი ავტორების მიერ შექმნილი ნაშრომები და მათი გამოცდილება.

2. სამშენებლო ექსპერტიზის თეორიული, სამართლებრივი და ნორმატიული საფუძვლები, ექსპერტიზის წარმოების პრინციპები

2.1. შესავალი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში და ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მშენებლობის მოცულობის მკვეთრი შემცირებისას, გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს სამშენებლო კომპლექსი აღმოჩნდა დანგრეული და მრავალმა გამოცდილმა პროფესიონალმა დატოვა დარგი, შედეგად წარმოიშვა არსებითი პრობლემები კვალიფიციური ინჟინერ-პერსონალით, ხელოსნებით ან კვალიფიციური მუშებით დაკომპლექტების საქმეში.

ასევე ლიკვიდირებული იქნა უწყებრივი კონტროლის ვერტიკალური სისტემა და იგი სხვა კონტროლის სისტემით არ ჩანაცვლებულა სახელმწიფო კონტროლის სისტემა განსახილველ სფეროში შესუსტებულია, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების რაოდენობა შემცირებულია და ამასთან მათი უფლებები მკვეთრად შეიზღუდა ასევე მოიშალა მშენებლობის უსაფრთხოების სახელმწიფო რეგულირება.

ბოლო წლებში საქართველოში გაიზარდა მშენებლობის მოცულობა, ამავდროულად ადგილი აქვს, რთული საპასუხისმგებლო შენობების, ადამიანთა მასობრივი თავშეყრის ნაგებობების (საცურაო აუზები, სპორტული დარბაზები სტადიონები და ა. შ). მაღალი შენობების აგების ტენდენციას, რომელთა ავარიები მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს და ადამიანთა მსხვერპლს გამოიწვევს. უწყებრივი კონტროლის არ არსებობისას, სახელმწიფო (მერია, მუნიციპალიტეტი) ზედამხედველობის თანამშრომლები, არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში არ არის გარანტია იმისა, რომ ამ სფეროში დაცულია ყოველი ადამიანის კონსტიტუციური უფლება ჯანსაღ გარემოზე.

გარკვეული წლების პერიოდში სათანადო კონტროლის არ არსებობის შედეგად გახშირებულია სამშენებლო ობიექტების ავარიული კრიტიკული დეფექტები, ასევე ხშირია თვითნებური მშენებლობის შემთხვევები და ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებისას დარღვევების რაოდენობა და სხვა.

2.2. სამშენებლო ექსპერტიზის სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით

სამშენებლო ექსპერტიზის საკანონმდებლო საფუძვლად უნდა განიხილებოდეს კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული აქტების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებენ ურთიერთობებს, სამშენებლო საქმიანობის სფეროში.

სახელმწიფო საექსპერტო სამართლებრივი საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო კანონები და კანონქვე აქტები, სახელმწიფო კონსტიტუცია. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული სხვა ნორმატიული აქტები.

სახელმწიფო კანონები

კონსტიტუცია როგორც სახელმწიფო ძირითადი კანონი განსაზღვრავს ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის სისტემას, აყალიბებს ურთიერთობების ძირითად პრინციპებს სახელმწიფო ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის, სამშენებლო საქმიანობის განხორციელების სფეროში, რომლის კონტროლის მეთოდს წარმოადგენს საექსპერტო საქმიანობა.

კონსტიტუციას აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა ქვეყნის მთელი ნორმატიული სამართლებრივი ბაზისათვის.

კონსტიტუციის შემდეგ სახელმწიფო საექსპერტო საქმიანობის რეგულირებაში ძირითადი როლი ეკუთვნის სახელმწიფო კანონებს საქართველოს მთავრობის დადგენილებებს, ბრძანებებს და სხვა ნორმატიულ აქტებს. ამჟამად ყველაზე განვითარებული ფორმით სასამართლო ექსპერტიზის რეგლამენტაცია წარმოდგენილია სისხლის სამართლის პროცესუალურ კოდექსში, რომელიც არეგულირებს სასამართლოს წარმოების სხვადასხვა სახეობებს. აქედან გამომდინარე, ექსპერტიზა ინიშნება გარემოებების დადგენის აუცილებლობის და იმ საკითხების განსაზღვრის შემთხვევაში, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს სპეციალურ ცოდნას.

განვიხილოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლი რომელიც ითვალისწინებს ექსპერტის უფლებებსა და მოვალეობებს ამონარიდი კოდექსიდან:

1. ექსპერტად დანიშნული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში გამოძახების თანავე დამისცეს ობიექტური და სკვნამისწინა შედასმულ კითხვებზე.
2. თუ ექსპერტი არასაკატიომიზეზითარგამოცხადდება სასამართლოში, თავსარიდებს და სკვნისმიცემასანშეგნებულად მისცემს ყალბ და სკვნას, მისმიმართ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.
3. ექსპერტს უფლება აქვს უარი თქვას და სკვნისმიცემაზე, თუ მისთვის გადაცემული მასალების აკმარის იარარის, ან თუ მას არააქვს ათანადო ცოდნა და კისრებული მოვალეობის შესასრულებლად. ექსპერტი მოვალეა აღნიშნულის აფუძვლებით და სკვნისმიცემაზე უარი დაწვრილებით დაასაბუთოს.
4. თუ ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტი გამოარკვევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთ გარემოებებს, რომელთა შესახებ აცმას კითხვები არ ჰქონდა დასმული, ექსპერტს უფლება აქვს და სკვნაში მიუთითოს ამ გარემოებებზე.

5.

ექსპერტიზასთან დაკავშირებული გარემოებების გამოსარკვევად ექსპერტს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, დაუსვას მხარეებს ადამოწმებს შეკითხვები, მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა და თვალთვალის სადაშემოწმებაში, აგრეთვე სთხოვოს სასამართლოს მისთვის დამატებითი მასალების წარდგენა. **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, ამონარიდი კოდექსიდან:**

- ა) ექსპერტს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.
- ბ) ექსპერტი მიუკერძოებელი უნდა იყოს, იმის მიუხედავად, თუ ვინ მიიწვი იგი.
- გ) დაუშვებელია მოწმის სანდოობის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება.

სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი ამონარიდი კოდექსიდან:
„**ცრუინფორმაცია, ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა ან არასწორი თარგმანი რომელიც ითვალისწინებს: მართლმსაჯულებისათვის ხელისშემლას, რაც გამომიხატა გამოსაკითხი პირის, მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუინფორმაციის მიწოდებით ან ცრუ ჩვენების მიცემით, ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემით, ექსპერტის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობით ან დათარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნის გამოძიების დროს ან სასამართლოში.**“

ეს კოდექსები არეგულირებენ სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების წესს, სასამართლო ექსპერტიზის სუბიექტების ექსპერტიზისა და სპეციალისტების უფლებებსა და პასუხისმგებლობას.

მშენებლობის ნებართვების მთავრობის N57 დადგენილება განსაზღვრავს ქალაქთმშენებლობის დოკუმენტაციის აუცილებელი ექსპერტიზის ობიექტებს, ამ ექსპერტიზის სუბიექტების - აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებას.

ძირითადი როლი საექსპერტო საქმიანობის რეგულირებაში ეკუთვნის კანონს. ამ კანონის არ არსებობის შემთხვევაში მიღებული უნდა იყოს იმგვარი რეგლამენტაცია, რომელიც განხორციელდება მხოლოდ უწყებრივი ნორმატიული აქტებით. კანონმდებლური აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ საექსპერტო საქმიანობის საბაზისო დებულებებს, მიეკუთვნება დარგობრივი პროცესუალური კანონმდებლობა, რომელიც ახდენს ექსპერტიზის დანიშვნის და ჩატარების რეგლამენტაციას სხვადასხვა სახის სამართალწარმოების წარმართვისას-

სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის. რადგან დარგობრივი პროცესუალური კანონმდებლობა- დინამიური და განვითარებადი სამართლებრივი ინსტიტუტია, მის ცვლილებებთან ერთად ხდება შესაბამისი ცვლილებები, აგრეთვე სასამართლოს საექსპერტო საქმიანობის სამართლებრივ ბაზაში. დარგობრივი პროცესუალური კანონმდებლობის ნორმების შინაარსში, რომლებიც არეგულირებენ ექსპერტიზის დანიშვნასა და ჩატარებას, არის ბევრი საერთო კონცეპტუალური დებულება, რომლებიც თითოეულ კოდექსში კონკრეტიზირებული არიან სასამართლოს წარმოების სახეობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასამართლო ექსპერტიზის წარმოება სამართალწარმოების ცალკეული სახეობების წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით რეგულირდება სახელმწიფოს შესაბამისი პროცესუალური კანონმდებლობით.

კანონი უნდა არეგულირებდეს მონაწილეობას ხელშეკრულების საფუძველზე გამოკვლევების (გამოცდების) და საგამოცდო ლაბორატორიების (ცენტრების) მიერ გაზომვების ჩასატარებლად, რომლებიც აკრედიტებული არიან მთავრობის მიერ დადგენილი წესის მიხედვით აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორია ვალდებულია უზრუნველყოს გამოკვლევები და გაზომვების შედეგების უტყუარობა.

კანონი უნდა არეგულირებდეს შესაბამისობის დეკლარირების წესს, რომლის დროსაც შესაბამისობის დეკლარირებისას საკუთარი მტკიცებულებების საფუძველზე განმცხადებელი დამოუკიდებლად აყალიბებს მტკიცებულებების მასალებს პროდუქციის შესაბამისობის ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებისადმი დასადასტურებლად და მოიცავს მტკიცებულებების მასალებს, როგორცაა გამოკვლევების და გაზომვების ოქმები, რომლებიც ჩატარდა აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიაში.

2.3. სამშენებლო ექსპერტიზის ნორმატიული საფუძვლები საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და რეგლამენტების გათვალისწინებით

ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდში ერთ-ერთ პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივ ამოცანას წარმოადგენს კანონიერებისა და წესრიგის დამყარება. მისი გადაწყვეტა სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის ფარგლებში საჭიროებს არა მხოლოდ მოკვლევისა და ძიების ორგანოების, პროკურატურის ზედამხედველობისა და სასამართლოს მუდმივ და აქტიურ საქმიანობას, არამედ აგრეთვე ექსპერტიზის ინსტიტუტის ეფექტურ ფუნქციონირებას, რომლის მტკიცებითერთ-ერთ

მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს დანაშაულის გამოძიება და საქმის სასამართლო განხილვა. სამშენებლო ექსპერტიზა იყოფა არასასამართლო და სასამართლო სახეობებად, სასამართლო სამშენებლო ექსპერტიზა, როგორც სასამართლო საინჟინრო ექსპერტიზის სახეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ხანდახან კი გადაწყვეტსაც, მშენებლობაში უბედური შემთხვევების, ავარიებისა და რღვევის სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს; საერთო იურისდიქციის სასამართლოში უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების, შენობის, ნაგებობის და შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხისა და ღირებულების სამოქალაქო დავების განხილვისას, აგრეთვე სამშენებლო ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიმდინარეობის მართებულობისა და კანონზომიერების დადგენასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული კანონდარღვევის საქმეების განხილვისას.

საექსპერტო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სირთულე დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ადმინისტრაციულ რეფორმასთან, რომელიც მიმდინარეობს. უფლებამოსილებათა მოცულობა, ნაირსახეობა და საკონტროლო-საზედამხედველო ორგანოების უწყებრივი დაქვემდებარება აღნიშნული რეფორმის პროცესში იცვლება. ამ გარემოებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობის მიერ შეტანილია შესწორებები ძირითად აქტებში, თემატურ კანონებში და კანონქვე აქტებში. ამ შესწორებებით უქმდება ის მუხლები, რომლებმაც დაკარგეს აქტუალობა და შემოდის ახალი დებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ თანამედროვე პირობებს.

საქართველოს ძალისხმევას მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ასევე შეაქვს სერიოზული კორექტივები არსებული ურბანული დაგეგმვის კანონმდებლობაში.

ადმინისტრაციული რეფორმით გამოწვეული გარდამავალი პერიოდის სირთულე და ხანგძლივობა მოითხოვს გამოსახვას საექსპერტო საქმიანობის არსებულ მომენტში სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკული სიტუაციისას და მის პერსპექტიულ ორგანიზებას.

ექსპერტიზის სფეროს მშენებლობის სფეროში არეგულირებს მთავრობის დადგენილება N57 (2009 წლის 24 მარტი). რომლის V თავი არის საექსპერტო შეფასება სამშენებლო საქმიანობაში. აღნიშნული არასაკმარისია და დასახვეწია.

ვინ უნდა იყოს ექსპერტი სამშენებლო დარგში და რით რეგულირდება კანონით, დადგენილებით თუ რეგლამენტით.

შეიქმნა „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“ და არსებობს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N61 დადგენილება-

„ტექნიკური რეგლამენტის- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტის სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის დამტკიცების თაობაზე“.

აკრედიტაციის ცენტრი საექსპერტო ორგანიზაციებს - ინსპექტირების ორგანოებს ანიჭებს აკრედიტაციას მშენებლობის სხვადასხვა სფეროში; ინსპექტირების (ექსპერტიზის) განხორციელებაზე, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია და ახლა იდგამს ფეხს. მთავრობის N61 დადგენილება წინააღმდეგობაში მოდის აკრედიტაციის ცენტრთან, რაც გადასახედა. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია იმ პირების პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, რომლებიც დამნაშავენი არიან სამშენებლო ობიექტის უსაფრთხოებისა და საჭირო ხარისხის უზრუნველყოფაში კანონმდებლობის საერთო სპეციალური ნორმების შესაბამისად. ექსპერტ-მშენებლის მიერ გამოკვლეული ობიექტები ძლიერ მრავალფეროვანია არა მხოლოდ ბუნებრივი და ტექნიკური მახასიათებლებით. ფუნქციონალური დანიშნულებით, არამედ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეში პროცესუალური მდგომარეობის შესახებ ან ადმინისტრაციულ კანონდარღვევის საქმეში, რომელიც მათი მნიშვნელოვანი რაოდენობისათვის (შენობა, ნაგებობა, მიწის ნაკვეთი და სხვა.) განსაზღვრულია არსაკმარისად ზუსტად. აქედან გამომდინარეობს რომ აუცილებელია დამუშავდეს შესაბამისი მეთოდიკები სამშენებლო დარგის ყველა მიმართულებით, როგორცაა ობიექტის ავარიებისმიზეზების დადგენა, შესრულებული სამშენებლო სამუშაოების შეფასება; მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის ადეკვატურობის დადგენა.

2.4. საექსპერტო საქმიანობის პრინციპები

საექსპერტო საქმიანობის პრინციპებად მიღებულია ძირითადი საწყისები, რომლებიც ასახავენ საზოგადოების, მისი საკანონმდებლო და სამართალგამომყენებელი ორგანოების სახით, კონცეპტუალურ შეხედულებებს კონკრეტულ საქმეებზე ექსპერტიზის ორგანიზაციის მიზნებზე და ამოცანებზე. არასასამართლო და სასამართლო ექსპერტიზის საქმიანობის პრინციპები აღწერილია მხოლოდ სახელმწიფო კანონებში.

საექსპერტო საქმიანობის პრინციპები ჩამოყალიბებულიუნდა იყოს საექსპერტო სამსახურის პრაქტიკული მუშაობის პროცესში. თავდაპირველად ისინი უნდა დამტკიცდეს კანონის მიერ, რომელმაც მათ უნდა მიანიჭოს სამართლებრივი ნორმების სტატუსი.

საექსპერტო საქმიანობის ძირითადი პრინციპები მიღებული და აღიარებული უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის მიერ, რომლებიც უნდაეფუძვნებოდეს კონსტიტუციურ ნორმებს. ამ პრინციპების გარდა სამშენებლო საექსპერტო საქმიანობა უნდა ითვალისწინებდეს კანონიერების, როგორც კერძო პირის, ასევე იურიდიული პირის უფლებების დაცვას.

საექსპერტო საქმიანობა ეფუძვნება შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს; რომელიც წარმოდგენილია სქემატურად (სურ 2.1.)


პრინციპი 1- კანონიერების დაცვა ექსპერტიზის საქმიანობის განხორციელებისას

სამშენებლო საექსპერტო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციის და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტების მიხედვით, რომლებიც ქმნიან ამ საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს.

კანონის დარღვევა სამშენებლო საექსპერტო საქმიანობის განხორციელებისას დაუშვებელია და იწვევს პასუხისმგებლობას სახელმწიფო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სამშენებლო საექსპერტო საქმიანობის კანონიერების პრინციპი უკავშირდება სამართალწარმოების კანონიერების პრინციპს, რომელიც აგრეთვე მოიცავს სხვა პრინციპებსაც. სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარებისას, თუ ირღვევა კანონით დადგენილი სხვა პრინციპები, მაშინ ირღვევა აგრეთვე კანონიერების პრინციპი. პრინციპი-1 ნიშნავს, რომ ექსპერტიზის ორგანიზაცია და წარმოება უნდა განხორციელდეს შესაბამისობაში ნორმებთან, რომლებიც ქმნიან მთლიანობაში სამშენებლო საექსპერტო საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს, როგორც ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანოს ან პირის მიერ, ასევე სამშენებლო საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის და ექსპერტის მიერ. მშენებელი ექსპერტის დასკვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება მტკიცებულებითი ძალა, თუ ექსპერტიზა ჩატარებულია კანონმდებლობის ფარგლებში, ყველა ნორმის დაცვით, რომლებიც განსაზღვრულია წინასწარ. ამ ნორმების დარღვევამ შეიძლება მიგვიყვანოს ხელახლა ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობამდე. მათი დამტკიცება განპირობებულია სამშენებლო საექსპერტო დაწესებულებების ახლო ურთიერთობებით სამართალდამცავ ორგანოებთან და თანამშრომლობით. ისინი ფლობენ გარკვეულ სახელისუფლებო უფლებამოსილებას მოქალაქეებისა და იურიდიული პირების კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დაცვის კუთხით. ამ მიმართულებით სამშენებლო საექსპერტო დაწესებულებები ვალდებული

არიან ითანამშრომლონ სამართალდამცავორგანოებთან. რაც მოითხოვს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვას. კანონი უნდა შეიცავდეს პრინციპი-1 განხორციელების მექანიზმს, რაც გამოიხატება კანონის დარღვევაზე დაწესებული პასუხისმგებლობით. სამშენებლო საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი ან მშენებელი ექსპერტი, რომელმაც დაუშვა კანონის დარღვევა ექსპერტიზის ჩატარებისა, ექვემდებარება ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამომდინარე კანონის ან პრინციპი-1 დარღვევის სიმძიმიდან. მაგალითად, თუ მშენებელ ექსპერტმა კონკრეტული ექსპერტიზის წარმოებისას დაარღვია პრინციპი-1, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და პროცესუალური სამართლის ნორმები, რომლებიც მოითხოვენ მისგან ჭეშმარიტი დასკვნის გაცემას დასმულ კითხვებზე და გასცა შეგნებულად ყალბი დასკვნა, იგი ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.



სურ 2.1. საექსპერტო საქმიანობის ძირითადი პრინციპები

კანონიერების პრინციპი-1 მოითხოვს კონსტიტუციის, პროცესუალური კანონმდებლობის ნორმების უპირობო და ზუსტ დაცვას. იგიახდენს სამშენებლო საექსპერტო საქმიანობის რეგლამენტირებას. პრინციპი-1 ეხება ყველა წესების

დაცვას, რომლებიც ქმნიან სამშენებლო საექსპერტო საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს.

პრინციპი 2 -მოქალაქის ან იურიდიული პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა

ეს პრინციპი ჩაწერილიასაქართველოს კონსტიტუციაში, რაც გულისხმობს შემდეგს: ყველა საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება თავისუფლად მოიძიოს, მიიღოს, გადასცეს, აწარმოოს და გაავრცელოს ინფორმაცია ნებისმიერი კანონიერი საშუალებით. საქართველოს მთავრობას აქვს მონაცემების ჩამონათვალი, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო საიდუმლოებას, იგი განისაზღვრება სახელმწიფო კანონითდა არ შეიძლება მათი გავრცელება.

პრინციპი 3- ექსპერტიზის ჩატარების დამოუკიდებლობის პრინციპი

ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტი დამოუკიდებელი უნდა იყოს, იგი არ უნდა იყოს რაიმე ურთიერთობაში, როგორცაა ნათესაური კავშირი, ბიზნეს ინტერესი, ექსპერტიზის დამნიშნავ ორგანიზაციასთან ან პირთან, საქმის შედეგით დაინტერესებულ მხარეებთან. მშენებელი ექსპერტი იძლევა დასკვნას ჩატარებული გამოკვლევების შედეგებზე თავისი სპეციალური ცოდნის საფუძველზე.

დაუშვებელია მშენებელ ექსპერტზე ზეგავლენა თავისი ხელმძღვანელის, დამკვეთი ორგანიზაციის ან პირის, მოსამართლის, გამომძიებლის, პროკურორის მიერ პროცესუალური მდგომარეობით. ასევე, პრინციპი-3 წარმოადგენს საექსპერტო საქმიანობის პრინციპების რეალიზაციის პირობას, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების გამოყენებით ჩატარებული კვლევების ობიექტურობას, ყოვლისმომცველობას და სისრულეს.

გასაჩივრებას ექვემდებარება საექსპერტო დაწესებულების, ინსპექტირების ორგანოს, ან ექსპერტის, ინსპექტორის ქმედება (უმოქმედობა), მაგრამ არა ექსპერტიზის დასკვნა, ან ინსპექტირების ანგარიში. საექსპერტო პრაქტიკაში არის მცდელობა გაასაჩივრონ უშუალოდ ექსპერტიზის დასკვნები, ან ინსპექტირების ანგარიშები. მაგალითად, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოში, ხშირად შედის საჩივარი ექსპერტიზის შედეგების გაუქმების მოთხოვნით, ექსპერტების ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემის და ა.შ. შეიძლება ადგილი ქონდესექსპერტის დასკვნის გასაჩივრებას უშუალოდ სასამართლოზე კანონის [37] „მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების დამრღვევი ქმედებები და გადაწყვეტილებები სასამართლოში გასაჩივრების შესახებ“ საფუძველზე. თანაც განაცხადი ექსპერტიზის დასკვნის, ან ინსპექტირების ანგარიშის ბათილად ცნობის

თაობაზე წარდგენილია სასამართლოში, რომელსაც არ განუხილავს საქმე, რომლის ფარგლებში დაინიშნა და ჩატარდა ექსპერტიზა.

საექსპერტო დასკვნის შეფასება წარმოადგენს პირის (ორგანოს) განსაკუთრებულ პრეროგატივას, რომელსაც მიყავს წარმოება საქმეზე, ამგვარ პირს წარმოადგენს გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, რომელიც განიხილავს კონკრეტულ საქმეს. მხოლოდ ჩამოთვლილ პირებს შეუძლიათ გადაწყვიტონ საკითხი საექსპერტო დასკვნების დასაბუთებაზე, მათ სისრულესა და უტყუარობაზე, ექსპერტიზის დასკვნის, ინსპექტირების ანგარიშის გამცემი ექსპერტების ქმედებების მართებულობაზე და ა.შ. მხოლოდ ამ ორგანოებსა და პირებს აქვთ უფლება საექსპერტო დასკვნის, ან ინსპექტირების ანგარიშის შედეგების მიხედვით მიიღონ იურიდიული გადაწყვეტილებები. ამ საკითხთა განხილვა სახელისუფლებო გადაწყვეტილებების მიღება სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ ნიშნავს ჩარევას მართლმსაჯულების განხორციელებაში. ამგვარი სარჩელები საერთოდ არ უნდა იქნეს მიღებული განსახილველად სასამართლოს მიერ. ამგვარად, საექსპერტო დასკვნა, ან ინსპექტირების ანგარიში, როგორც მტკიცებულებების წყარო კონკრეტულ საქმეზე, არ შეიძლება წარმოადგენდეს „გასაჩივრების“ დამოუკიდებელ ობიექტს. ყველა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ჩატარებულ საექსპერტო კვლევასთან და საექსპერტო დასკვნის, ან ინსპექტირების ანგარიშის საიმედოობასთან, უნდა გადაწყდეს პროცესუალური (სასამართლო) მტკიცებულებების დროს. მტკიცებულებების სუბიექტებს, მაგალითად, მხარეებს პროცესში, შეუძლიათ მიმართონ ისეთ პროცესუალურ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხერხებს, როგორცაა მშენებელ ექსპერტის დაკითხვაზე გამოძახების შუამდგომლობა, ხელახალი ექსპერტიზის, ან ინსპექტირების დანიშვნის შუამდგომლობა და ა. შ. საჩივრდება არა ექსპერტიზის დასკვნის, ან ინსპექტირების ანგარიშის შედეგები, არამედ ის პროცესუალური გადაწყვეტილებები, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს გამომძიებლის ან მოსამართლის დადგენილება, სასამართლოს განაჩენი ან სხვა პროცესუალური გადაწყვეტილებები, რაც შეიძლება გასაჩივრდეს. გასაჩივრება წარმოებს სამართლებრივი წესით და მხოლოდ მის შემდეგ, რაც ძალაში შევა სასამართლო გადაწყვეტილებით მოსამართლის გადაწყვეტილების ცვლილებები და საექსპერტო დასკვნა, ან ინსპექტირების ანგარიში ჩაითვლება უსაფუძვლოდ, მაშინ შეიძლება დადგეს ექსპერტთა პასუხისმგებლობის საკითხი იმ პირობით, რომ მათ ქმედებებში აღმოჩნდება დანაშაულის ნიშნები, მაგალითად დისციპლინარული დარღვევის ან დანაშაულის (წინასწარშეცნობით მცდარი საექსპერტო დასკვნის, ინსპექტირების ანგარიშის, გაცემისას).

ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ამტკიცებს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპს-3, რაც უზრუნველყოფს საექსპერტო საქმიანობის სამართლიანად ჩატარებას და ეს არის ექსპერტის დამოუკიდებლობის პრინციპი. ეს პრინციპი კინიშნავს რომ არავის არა აქვს უფლება მოახდინოს ზეწოლა ექსპერტზე, ან ინსპექტორზე აიძულოს იგი გასცეს ყალბი ექსპერტიზის დასკვნა, ან ინსპექტირების ანგარიში.

მშენებელი ექსპერტის დამოუკიდებლობის პრინციპი ლოგიკურად გამომდინარეობს კანონმდებლობით გათვალისწინებული ექსპერტის პროცესუალური დამოუკიდებლობიდან, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ექსპერტს აქვს სტატუსი. ეს სტატუსი განსხვავდება პროცესის სხვა მონაწილეების პროცესუალური სტატუსისგან და პირადად აგებს პასუხს ჩატარებულ გამოკვლევაზე და გაცემულ ექსპერტიზის დასკვნაზე, ან ინსპექტირების ანგარიშზე.

პრინციპი-3-ის რეალიზაციას აქვს შემდეგი ასპექტები, ექსპერტების სხვა პირებისგანგავლენის, ან ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად: ა) ორგანოს ან პირის მიერ, რომლებმაც დანიშნეს ექსპერტიზა, სხვადასხვა მონაწილეებისაგან, სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან, რომლებიც დაინტერესებული არიან საქმის შედეგით; ბ) დაწესებულების ან განყოფილების ხელმძღვანელისაგან რომელშიც მუშაობს ექსპერტი და აგრეთვე შესაბამისი უწყების ზემდგომი ხელმძღვანელისაგან; გ) კოლეგებისაგან - სხვა ექსპერტისაგან საკომისიო, ან კომპლექსური ექსპერტიზის წარმოებისას.

სამშენებლო საექსპერტო დაწესებულებები, ძირითადად დამოკიდებულნი არიან ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანოსა ან პირისაგან, მაშინაც კი თუ საქმე ეხება ერთი უწყების ქვედანაყოფებს. დაცული უნდა იყოს წესი, რომელიც რეგულირდება კანონით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პირი, რომელიც ახორციელებს გამოძიებას ან წინასწარ გამოძიებას, და აიძულებს ექსპერტს გასცეს ექსპერტიზის ყალბი დასკვნა, ან ინსპექტირების ანგარიში, მუქარის ან სხვა დანაშაულებრივი ქმედებების მეშვეობით, ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით. ანალოგიური ქმედებები მოსამართლის მხრიდან უნდა ჩაითვალოს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებად და მას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კანონით. ზეგავლენა მოსამართლეზე, იძულების ან მოქრთამვის ფორმით ორგანიზაციის ხელმძღვანელების ან ორგანიზაციის წარმომადგენლების მხრიდან, აგრეთვე კერძო პირთა პასუხისმგებლობა

ხორციელდება სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად ჩადენილი ზეგავლენის ხასიათიდან გამომდინარე.

მშენებელი ექსპერტი, როგორც თანამდებობის პირი ადმინისტრაციულად დამოკიდებულია იმ საექსპერტო დაწესებულებების ხელმძღვანელობაზე, რომელშიც ის მუშაობს; მის მოადგილეზე, ქვედანაყოფის ხელმძღვანელზე, მაგრამ ეს დამოკიდებულება არ ვრცელდება ექსპერტის მიერ კონკრეტული ექსპერტიზის წარმოებაზე და მათზე დასკვნის გაცემაზე. ექსპერტის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვის მექანიზმი ამ ასპექტით გათვალისწინებული უნდა იყოს კანონში მთელი რიგი ნორმების სახით. ეს ნორმა ავალდებულებს დაწესებულების ან ქვედანაყოფის ხელმძღვანელს კონტროლის განხორციელებისას ექსპერტიზის შედეგების დაცვაზე, სამშენებლო ექსპერტიზის სისრულესა და წარმოების ხარისხზე, არ დაარღვიოს ექსპერტის დამოუკიდებლობის პრინციპი-3, რომელიც პირდაპირ უკრძალავს მას ექსპერტისათვის მითითების მიცემას, რომელიც განაპირობებს ექსპერტიზის დასკვნის, ან ინსპექტირების ანგარიშის შინაარსის შეცვლას, კონკრეტული სამშენებლო ექსპერტიზის შედეგებზე. იმ შემთხვევაში როცა სამშენებლო საექსპერტო დაწესებულებების ხელმძღვანელსა და ექსპერტს შორის წარმოიშობა უთანხმოება ექსპერტიზის დასკვნის შინაარსთან კონკრეტულ ექსპერტიზაზე, ხელმძღვანელი ქმნის ექსპერტთა კომისიას ამ კონკრეტული ექსპერტიზის ჩასატარებლად. კომისიაში უნდა შეიყვანოს ექსპერტი, ვის დასკვნასაც ხელმძღვანელი არ ეთანხმება. კვლევების შემდგომი წარმოება და გაფორმება ხორციელდება წესით, რომელიც დადგენილია კომისიური ექსპერტიზების წარმოებისათვის.

გარდა ამისა, კანონში უნდა არსებობდეს ნორმა, რომელიც პირდაპირ აწესებს არ დაევალოს საექსპერტო დაწესებულებას აწარმოოს ექსპერტიზა, ან შეწყვიტოს უკვე დაწყებული ექსპერტიზა, თუ გამოვლინდება საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის, ან მშენებელი ექსპერტის დაინტერესების ფაქტები. კომისიური ექსპერტიზის წარმოებისას, განსაკუთრებით ერთი სპეციალობის მშენებელი ექსპერტების მიერ ექსპერტიზის ჩატარებისას, მშენებელ ექსპერტმა შეიძლება იგრძნოს ზეწოლა თავისი კოლეგების - კომისიის სხვა წევრების მხრიდან. ამ კუთხით მშენებელ ექსპერტის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვა არ გულისხმობს სხვა ექსპერტების აზრის გათვალისწინებას, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ უფრო მეტი გამოცდილება და უფრო მეტი კვალიფიკაცია, არამედ პროფესიონალების პოზიციაზე, რომლის დროსაც ჩნდება სხვა ექსპერტების მისწრაფება დაითრგუნოს მათთან განსხვავებული აზრის მქონე ექსპერტი, დაიყოლიონ იგი განსახვავებული დასკვნის გაცემაზე. ამგვარ ზეგავლენას უნდა შეეწინააღმდეგოს მშენებელი

ექსპერტი, ან ინსპექტორი და დაიცვას თავისი საექსპერტო დასკვნა. კანონის რიგ ნორმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ექსპერტის დამოუკიდებლობის პრინციპის მექანიზმის განხორციელება ამ შემთხვევაში. საბაზო კანონთან შესაბამისად ყოველ ექსპერტი კომისიაში არის დამოუკიდებელი, დამოიკიდებლად აწარმოებს კვლევებს, აფასებს პირადად მის მიერ და აგრეთვე სხვა ექსპერტების მიერ მიღებულ შედეგებს, აყალიბებს დასკვნებს დასმულ კითხვებზე თავისი სპეციალურ ცოდნის ფარგლებში; ერთი სპეციალობის ექსპერტების მიერ კვლევების ჩატარებისას ექსპერტებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, მათგან ყოველი ან ერთი ექსპერტი, რომელიც არ ეთანხმება სხვებს, იძლევა ცალკე დასკვნას. მსგავსი წესი გამოიყენება წარმოებაში კომპლექსური ექსპერტიზების წარმოებისას. ანალოგიურ ნორმებს შეიცავს აგრეთვე პროცესუალური კანონმდებლობა.

პრინციპი 4- ექსპერტიზის ჩატარების ობიექტურობა, ყოვლისმომცველობა და სისრულე

მშენებელი ექსპერტი ატარებს კვლევებს ობიექტურად, მკაცრად, სამეცნიერო ცოდნაზე და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

მშენებელ ექსპერტის საექსპერტო დასკვნა უნდა ეფუძვნებოდეს სამშენებლო ნორმებს, რეგლამენტებს და დადგენილ მეთოდებს, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას ექსპერტმა შეძლოს გამოტანილი დასკვნების დასაბუთება და უტყუარობა.

საექსპერტო დასკვნა უნდა შეიცავდეს სამ სპეციალურ მდგენელს: ობიექტურობას, ყოვლისმომცველობას და სისრულეს.

ობიექტურობა ნიშნავს მოთხოვნას ექსპერტისაგან ჩაატაროს კვლევა და გამოიტანოს დასკვნები სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ საფუძველზე, რომელიც შეესაბამება განვითარების თანამედროვე დონის ცოდნას იმ სფეროში, რომელსაც იგი წარმოადგენს. ობიექტურობის შინაარსი უნდა განიხილებოდეს ორ ასპექტში:

ა) ექსპერტის მხრიდან სუბიექტურობის დაუშვებლობა კონკრეტული კვლევების წარმოებისას და დასკვნის გაცემისას, ანუ რომელიც არ ეფუძვნება ამ გამოკვლევების მონაცემებს, ტენდენციებს განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღებისას, და

ბ) მიუკერძოებლობა, ანუ მშენებელ ექსპერტის რაიმე დაინტერესების არ არსებობა კონკრეტულ მოსამზადებელ საექსპერტო დასკვნის შედეგებზე. მშენებელი ექსპერტი ობიექტურობის და კვლევების ჩატარებისას სუბიექტივიზმის არ არსებობის პირველ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი კომპეტენტურობა, პროფესიული ცოდნის და გამოცდილების არსებობა კონკრეტული სამშენებლო საექსპერტო სპეციალობის

ფარგლებში. სამშენებლო ექსპერტიზის საფუძველს წარმოადგენს სპეციალურად შექმნილი ზუსტი გამოყენებითი მეცნიერებები. იქ სადაც ასეთი სპეციალიზებული მეცნიერება არ არის განვითარებული დაშექმნილი სამშენებლო ექსპერტიზა ეფუძნება საბაზო მეცნიერებებს მოცემული მიმართულებით.

კერძო პირს ან ორგანიზაციას, რომლებიც ნიშნავენ სამშენებლო ექსპერტიზას, უნდა ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა იმაზე, რომ მშენებელ ექსპერტს რა სახის ექსპერტიზა უნდა დაევალოს, რათა მშენებელი ექსპერტის წინაშე დასმული შეკითხვები არ უნდა გასცდეს მისი სპეციალური ცოდნის ფარგლებს. მათი შერჩევა უნდა მოხდეს პროფესიული მომზადებისა და პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების შედეგად (ამაზე შეიძლება მიუთითებდეს მშენებელ ექსპერტის განათლება, კომპეტენცია, ტრენინგები და მუშაობის სტაჟი). ასევე უნდა იყოს გარკვეული მშენებელი ექსპერტის ზოგადი კომპეტენცია და ექსპერტის სუბიექტური კომპეტენტურობა. სამშენებლო ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს სპეციალობების სწორი განმარტებით, რომლის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ დასმული კითხვების სწორ გადაწყვეტას, თუმცა შერჩეული კონკრეტული ექსპერტის არასაკმარისი კომპეტენციის შემთხვევაში აუცილებელი ხდება სხვა ექსპერტის ჩართვა ექსპერტიზის საწარმოებლად. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორცაა მშენებელ ექსპერტის სპეციალიზაცია, მაგალითად, ტექნოლოგი, კონსტრუქტორი და ა.შ. ამგვარი ექსპერტიზების წარმოების და მსგავსი ობიექტების გამოკვლევის გამოცდილება. კანონში უნდა იყოს დამტკიცებული პროფესიული და კვალიფიკაციური მოთხოვნები ექსპერტის მიმართ, რასაც ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტი სსტ17020:2012/2013 - უმაღლესი სამშენებლო განათლება, შემდგომი მომზადება სამშენებლო საექსპერტო სპეციალობით, ატესტაცია და ტრენინგები სამშენებლო ექსპერტიზის დამოუკიდებლად წარმოებაზე. სამშენებლო საექსპერტო დაწესებულების, ან ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მოვალეობები ითვალისწინებს ვალდებულებას უზრუნველყოს ექსპერტის პირობები, რომლებიც აუცილებელია კვლევების ჩასატარებლად და დასკვნის გასაცემად, მათ შორის შესაბამისი დაკალიბრებული გამზომი მოწყობილობები, ხელსაწყოები საინფორმაციო, კომპიუტერული სერთიფიცირებული პროგრამები და სხვა მასალები. სამშენებლო საექსპერტო დაწესებულებები და ინსპექტირების ორგანოები, ამჟამად დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მშენებელი ექსპერტების კადრებით, უზრუნველყოფილნი არიან თანამედროვე აღჭურვილობით და კომპიუტერული ტექნიკით. მშენებელ ექსპერტის ობიექტურობის მეორე მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მისი მიუკერძოებულობა პირადი დაინტერესების არ არსებობა საქმის

შედეგებში, მდგრადი ხასიათი საქმის გარემოებების მიმართ კონკრეტული საექსპერტო გამოკვლევის წარმოებისას და დასკვნის გაცემისას. ობიექტურობის პრინციპის განხორციელების მექანიზმი გათვალისწინებული უნდა იყოს საექსპერტო ორგანიზაციის დებულებაში და პროცედურებში. მშენებელი ექსპერტის მოვალეობებს შორის საექსპერტო ორგანიზაციის დებულება უნდა ითვალისწინებდეს მის წინაშე წარდგენილი ობიექტის სრული გამოკვლევის ჩატარებას და დასაბუთებული და ობიექტური დასკვნის გაცემას. მის წინაშე დასმულ შეკითხვებზე დებულება, ან პროცედურა აგრეთვე უნდა შეიცავდეს ჩანაწერს, რომელიც უკრძალავს ექსპერტს დაამყაროს პირადი კონტაქტები პროცესის მონაწილეებთან, თუ ეს ეჭვქვეშ აყენებს მისი საქმის შედეგებში დაინტერესების არსებობას, ეჭვების არსებობისას ექსპერტის საქმის შედეგის პირადი დაინტერესების არ არსებობაში იგი ექვემდებარება აცილებას. პროცედურაში უნდა იყოს მითითება, რომელიც აწესებს ექსპერტის აცილებას. პროცედურა უნდა შეიცავდეს სიას ექსპერტის მონაწილეობას განსხვავებული პროცესუალური ხარისხით, ნათესაური ურთიერთობა პროცესის სხვა მონაწილეებთან, საქმეში მონაწილე პირებისაგან სამსახურეობრივი დამოკიდებულება და სხვა გარემოებები თუმცა ექსპერტის ობიექტურობის ეჭვისათვის პროცესუალური საფუძველის არსებობისას შეიძლება იყოს პირობები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მის დაინტერესებაზე. საქმის ეს გარემოებები, რომელზეც ტარდება ექსპერტიზა, შეიძლება აღმოჩნდეს ემოციურ დატვირთვად, რაც უნებლიეთ შეარყევს ექსპერტის მიუკერძოებლობას, ეს მდგომარეობა ეკუთვნის საექსპერტო საქმიანობის ფსიქოლოგიური თავისებურებების სფეროს და ექსპერტთან ერთ-ერთი პროფესიულ მოთხოვნას წარმოადგენს ემოციური მდგომარეობის მოთხოვნა საქმის გარემოებების მიმართ, რომელზეც ტარდება ექსპერტიზა. ამ მდგრადობის საწინდარს წარმოადგენს საექსპერტო კვლევების წარმოების და მათი შედეგების შეფასების სამეცნიერო-მეთოდოლოგიური მითითებების და რეკომენდაციების მკაცრი დაცვა. ექსპერტიზის ჩატარებისას, ექსპერტი უნდა გაეცნოს საქმის მასალებს იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ექსპერტიზის წარმოებისათვის, და კვლევების ჩატარებისას, გულდასმით უნდა შეამოწმოს პროცესში მონაწილეთა როგორც ვერსიები, ასევე კონტრვერსიები, რომლებიც უკავშირდებიან ექსპერტიზის საგანს, ისევე როგორც საკუთარი ვერსიები, ექსპერტმა უნდა შეისწავლოს ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუწყობენ როგორც დადებით, ისე უარყოფით პასუხს კითხვაზე, პოზიციის განსაზღვრის ფორმულირებისა და დასაბუთების შემდეგ, რაც აისახება დასმულ კითხვებზე დასკვნებზე, შედეგებზე, ექსპერტმა უნდა გადმოსცეს აგრეთვე სადაო და წინააღმდეგობრივი დებულებების არსებობა, ამავე დროს მან უნდა დაასაბუთოს,

რატომ არ მოქმედებს წინააღმდეგობრივი ან სადავო ფაქტორების არსებობა მის დასკვნაზე, რატომ შეიძლება მათი უგულველყოფა და რა მოცულობით. სამშენებლო საექსპერტო საქმიანობის პროფესიული პრინციპები- კვლევების ყოვლისმომცველობა და სისრულე მჭიდროდაა დაკავშირებული, როგორც ერთმანეთთან ასევე ობიექტურობასთან. კვლევის ყოვლისმომცველობის პრინციპი უნდა განიხილებოდეს შემდეგ ასპექტებში:

- ა) საექსპერტო კვლევისათვის საწყისი მონაცემების ფორმირებისას;
- ბ) საექსპერტო ვერსიების ფორმირებისა და შემოწმებისას მათი კვლევის პროცესში;
- გ) კვლევის ნიშნებისა და შედეგების გამოვლენისას და შეფასებისას.

კვლევების დაწყებისას ექსპერტი უნდა ფლობდეს სრულყოფილ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა კვლევის ჩასატარებლად და დასკვნის გასაცემად, ეს მონაცემებია - კვლევის უშუალო მონაცემები, ნიმუშები, ეტალონები, ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებული საქმის მასალები, ამ პრინციპის რეალური განხორციელების გარანტიებს წარმოადგენენ პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული ექსპერტის უფლებები, ეს უფლებები მას მიაკუთვნებენ შესაძლებლობას აღძრას შუამდგომლობა პირის ან ორგანოს წინაშე. რომლებმაც დანიშნეს ექსპერტიზა, დამატებითი მასალების გადასაცემად გამოსაკვლევი ობიექტების, ნიმუშების შედარებითი გამოკვლევებისათვის, მონაცემები საქმის გარემოებების შესახებ, სახით, რომლებიც მიეკუთვნებიან ექსპერტიზის საგანს და ა. შ. ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანოს ან პირის ნებართვით მიიღოს მონაწილეობა გამოძიების ქმედებებში და სასამართლო სხდომებზე, დაუსვას სეკითხვები პროცესის მონაწილეებს საექსპერტო კვლევის სისრულე ხასიათდება:

ა) ექსპერტიზის დამნიშნავი პირის ან ორგანოს ყველა კითხვებზე ექსპერტის ამომწურავი პასუხებით.

ბ) ყველა იმ ობიექტების კვლევების ჩატარებით, რომელთა მიმართაც იყო დასმული კითხვები.

გ) ექსპერტისათვის ყველა ხელმისაწვდომი სპეციალური მეთოდები და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომლებიც საჭიროა კვლევის ჩასატარებლად და დასმულ კითხვებზე დასკვნის გასაცემად.

ექსპერტის წინაშე დასმული არცერთი შეკითხვა არ უნდა დარჩეს უპასუხოდ და არ უნდა იყოს გამოტოვებული. უფრო მეტიც, პროცესუალური კანონმდებლობა ითვალისწინებს ექსპერტის უფლებას მიუთითოს თავის დასკვნაში ის გარემოებები, რომელთა გამო მას არ დაესვა შეკითხვები. მაგრამ რომლებიც მან დაადგინა თავისი სპეციალური ცოდნის საფუძველზე, როგორც საქმესთან დაკავშირებული. თუ ექსპერტს არ შეუძლია კითხვაზე პასუხის გაცემა, წინამდებარე კანონი

ავალდებულებს მას გასცეს მოტივირებული შეტყობინება კვლევის განხორციელების და დასკვნის გაცემის შეუძლებლობის შესახებ. პროცესუალურ კანონმდებლობა განიხილავს ექსპერტის ამგვარ ქმედებას, როგორც მისი დასკვნის გაცემაზე უარის თქმის უფლებას ორ შემთხვევაში არაკომპეტენტურობა და დასკვნის გასაცემად წარდგენილი მასალების არასაკმარისობა. წინამდებარე კანონი ითვალისწინებს ასეთი შეტყობინების წერილობით ფორმას და მასში დაწვრილებით უნდა იყოს ჩამოთვლილი ამის საფუძვლები. კვლევის ობიექტების მიმართებაში მოქმედებს იგივე წესი: ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ყველა ობიექტი. მათ შორის ნიმუშები და საქმის მასალები, უნდა იქნას გამოკვლეული. ექსპერტის მოვალეობებს შორის კანონი ითვალისწინებს ექსპერტიზაზე წარდგენილ ყველა ობიექტზე და საქმის მასალების სრული კვლევის ჩატარებას. კვლევის ჩატარებისას ექსპერტი ვალდებულია გამოიყენოს მეთოდებისა და საშუალებების მთელი არსენალი. რომლის საშუალებასაც იძლევა მისი საექსპერტო საგნის სპეციალობის თანამედროვე მეცნიერული განვითარების დონე და რომელიც მისთვის ხელმისაწვდომია დასაბუთებული საიმედო დასკვნის გასაცემად. ეს არ ნიშნავს, რომ ექსპერტმა ყოველთვის უნდა გამოიყენოს ამ შემთხვევისათვის გამოსადეგი აბსოლუტურად ყველა მეთოდი. ამ მეთოდთა რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტულ საექსპერტიზო სიტუაციაზე, თუ დასაბუთებული და საიმედო შედეგები შესაძლებელია მიღებული იქნას რომელიმე ცალკეული მეთოდით. მაშინ საკმარისია მათი გამოყენება. მაგრამ, თუ ექსპერტიზის წარმოებისას ცალკეული მეთოდები არ „მუშაობენ“ ან მათ საიმედოობა მცირეა, ექსპერტმა უნდა გააკეთოს ყველაფერი (შესაძლებელი). ანუ გამოიყენოს ყველაფერი ექსპერტიზის ამოცანის დასაბუთებული და საიმედო გადაწყვეტისათვის.

პრინციპი 5- ექსპერტიზის ყოვლისმომცველობა და სისრულე

გამოკვლევის ყოვლისმომცველობის და სისრულის გამოვლინებას წარმოადგენს სამშენებლო საექსპერტო დაწესებულებების და ინსპექტირების ორგანოების პრაქტიკაში გავრცელებული ექსპერტიზის ტიპი კომპლექსური ექსპერტიზა. კომპლექსური ექსპერტიზით ჩატარებული კვლევების არასაკმარისობა დაიძლევა დამატებითი ასეთი ტიპის ექსპერტიზის დანიშვნით, სადაც სპეციალური პრინციპების დაცვის გარანტიად მიღებულია შემდეგი მოთხოვნა: სამშენებლოექსპერტიზის დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს სამშენებლო ნორმებს, რეგლამენტებს დამტკიცებულ დებულებებს და მეთოდიკებს, რომლებიც იძლევიან გამოტანილი დასკვნების დასაბუთების და სანდოობის შემოწმების შესაძლებლობას.

2.5. სამშენებლო ექსპერტიზის ობიექტები და სუბიექტები

სამშენებლო ექსპერტიზის ობიექტად უნდა იქნეს მიღებული ობიექტების ცალკეული ნაწილების ობიექტური და სუბიექტური თვისებების ერთობლიობა, რომელიც ინდივიდუალურად შეიძლება იყოს აღწერილი და გაანალიზებული. სამშენებლო ექსპერტიზის ობიექტები პროცესუალური ფორმით დაიყოფა შემდეგ ნაირსახეობად: ნივთიერი მტკიცებულებები (გამოსაკვლევეია სამშენებლო მასალების ნიმუშები); დოკუმენტები (საპროექტო დოკუმენტაცია, ტექნოლოგიური რუკები და ა. შ); ობიექტები, რომლებსაც არა აქვს პროცესუალური სტატუსი. ამ უკანასკნელებს მიეკუთვნებიან ობიექტები, რომლებიც არ არიან პროცესუალურად მიჩნეულნი საქმეში მტკიცებულების სახით (მაგალითად, შენობის, ნაგებობის, კონსტრუქციის ადგილმდებარეობა).

სამშენებლო ექსპერტიზის სუბიექტებს წარმოადგენს ინსპექტირების ორგანო, სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებიც აწარმოებენ სამშენებლო ექსპერტიზას. სამშენებლო ექსპერტიზის სუბიექტები არიან ინდივიდუალურები - თანამდებობის პირები და კოლექტიურები- ლაბორატორიები.

3.სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარების ზოგიერთი მეთოდის დამუშავება საქართველოში მოქმედი რეგლამენტების გათვალისწინებით.

3.1. შენობა ნაგებობების ავარიის (რღვევის) გამომწვევი მიზეზების დადგენის მეთოდოლოგია

1. ზოგადი დებულებები

მეთოდოლოგიის მიზანია შენობა-ნაგებობების რღვევის და ავარიის გამომწვევი მიზეზების დადგენის საქართველოში მოქმედი რეგლამენტების და სამშენებლო ნორმების დაწესების შესაბამისად.

2. ტერმინთა და განმარტებები

შენობა - არის ისეთი ნაგებობა, რომელიც ქმნის გადახურულ სივრცეს, შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით.

ნაგებობა - არის სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობებისაგან შექმნილი კონსტრუქციული სისტემა, რომელიც გრუნტთან უძრავადაა დაკავშირებული.

რღვევა-შენობა-ნაგებობის ან კონსტრუქციის ნაწილებად დაშლა;

ავარია - „ობიექტის რღვევა, ნგრევა, (მაგ. საძირკველი, კოჭი და სხვა) რაიმე მანქანის ან მექანიზმის (მაგ. მატარებლის, ავტომანქანის) დაზიანება რაც სახიფათოა ადამიანის სიცოცხლის მოსპობისათვის, აფეთქება ან ემისია, რომელიც იწვევს ადამიანის ინტოქსიკაციას, მისი სიცოცხლის მოსპობას ან ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, გარემოს და მატერიალურ ფასეულობებს“.

3. ექსპერტიზაზე წარსადგენი პირველადი დოკუმენტების ჩამონათვალი

ექსპერტიზის წარმოების დასაწყებად საჭიროა ექსპერტიზაზე წარდგენილი იყოს შემდეგი დოკუმენტაცია.

- ა) სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში (გეოლოგიური დასკვნა);
- ბ) პროექტი, რომელიც უნდა შეიცავდეს არქიტექტურულ ნაწილს, კონსტრუქციული საინჟინრო და ტექნოლოგიურ ნაწილებს;
- გ) ხარჯთააღრიცხვარო მლის მიხედვითაც შესრულდა სამშენებლო სამუშაოები;
- დ) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- ე) სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების (ქარხანა დამამზადებლის) სერტიფიკატები, რომლებიც მიკვლევა დიქნება ექსპერტიზის დროს;
- ვ) სამშენებლო სამუშაოების წარმოების დოკუმენტები: ფარული სამუშაოების აქტები, ქვაბულის მიღების აქტი, ბეტონის მიღების შურნალი, მშენებლობის წარმოების შურნალი, საინჟინრო ქსელების მიღების აქტები დაა. შ.
- ზ) შენობის ან ნაგებობის ექსპლუატაციის ცნობები (რემონტის გაძლიერების და სამუშაოების მიღების აქტები);

თ) ობიექტის წინაპერიოდის გამოკვლევის დოკუმენტაცია;

ი) მომხდარი ავარიის მომენტში ჰაერის ტემპერატურის, ქარის სიჩქარის, სეისმური ზემოქმედების და ქარის სიჩქარის შესახებ მეტეოროლოგიურის ამსახური დანტონობები.

4. პირველადი მონაცემების დამუშავება

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ექსპერტი დაადგენს:

1. მომხდარი მოვლენის (რღვევის ან ავარიის) ცალკეული ეტაპების თანამიმდევრობას და გარემოებას;
2. გამოსაკვლევ ობიექტი სექსპლუატაციის ნორმატიულ და ფაქტობრივ ვადებს;
3. ექსპლუატაციის პირობებს და გადახრას სწორი ექსპლუატაციიდან;
4. ობიექტის საპროექტო და ფაქტობრივ კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ მახასიათებლებს;
5. ობიექტის ფუძე-საძირკვლების ტიპის შესაბამისობას საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებთან;
6. გარემო, ზემოქმედებით და ტექნოლოგიური პროცესებით გამოწვეული დატვირთვების სიდიდეს და ხიასიათს, რომელსაც განიცდიდა გამოსაკვლევი ობიექტი, როგორც მთლიანად ისე ცალკეული კონსტრუქციებით;
7. ობიექტის კონსტრუქციული შესრულების კონსტრუქციული, ტექნოლოგიური და საინჟინრო ქსელების შესაბამისობა პროექტთან;
8. პროექტის და რეალური კონსტრუქციის შესაბამისობა მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და წესებთან და მოქმედ რეგლამენტებთან;
9. დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მოცულობითი ნაწილის შესაბამისობა რეალურად შესრულებულ სამუშაოსთან.

5. ობიექტის დეტალურ-ინსტრუმენტული მათ შორის ლაბორატორიული კვლევა

1. ობიექტის ვიზუალურ-ტექნიკური და თვალყურის დასრულება, ფოტოფიქსაცია, გეგმაზე დაჭრილებზე დეფექტების დატანა, კონსტრუქციების რღვევის ადგილების აღნიშვნა და ადგილზე მონიშვნა;
2. ობიექტის (შენობების და ნაგებობების) გაბარიტების დადგენა, აზომვითი ნახაზების შედგენა და ძირითადი კვანძების გამოხაზვა;
3. არამრღვევი კონტროლის მეთოდებით კონსტრუქციების მახასიათებლების დადგენა;
4. აკრედიტებული ლაბორატორიის ჩართვა, კონსტრუქციებიდან ნიმუშების აღება და ლაბორატორიული გამოცდა შესაბამისი პარამეტრების დადგენისათვის;
5. მშენებლობისას გამოყენებული ტექნოლოგიების, ხარჯების და საშუალებების დადგენა;

6. ობიექტის ექსპლუატაციის პირობების დადგენა;
7. ობიექტის დაზიანების ზონის დადგენა;
8. ექსპერტმაუნდაშეაგროვოს მონაცემები,
რომლებიც იძლევა კონსტრუქციის მდგომარეობის შესახებ მსჯელობის საშუალებას ავარიამდე და ავარიის მიმდინარეობისას;
9. კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისათვის ექსპერტმაუნდა დაადგინოს:
- ა) კონსტრუქციის კვთების გეომეტრიული ზომები;
 - ბ) კონსტრუქციის ელემენტების რღვევების პარამეტრები;
 - გ) ანტიკოროზიული დამცავი ფენის მდგომარეობა;
 - დ) დეფექტების დამექანიკური დაზიანებების არსებობა;
 - ე) კონსტრუქციული ელემენტების შეერთებების (შენადუდიკვანძის, მოქლონური ანჭანჭიკური შეერთება) მდგომარეობა;
 - ვ) კოროზიის ხარისხი და გავრცელების სიჩქარე;
 - ზ) კონსტრუქციული ელემენტის გადახრას აპროექტო მონაცემებიდან;
 - თ) კონსტრუქციების ჩალუნვები და დეფორმაცია.
10. ვიზუალური და თვალყურის შედეგების ანალიზის შემდეგ ექსპერტი წყებს ინსტრუმენტალურ კვლევაზე,
ინსტრუმენტულ კვლევას ექსპერტი გამოავლენს კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობას, დეფორმაციული პროცესების დაწყებას და განვითარებას; საზღვრავს შენობის კონსტრუქციის დაზიანების ხარისხს;
11. კონსტრუქციების სიმტკიცის დადგენა არაპირდაპირი მეთოდებით, როგორც ასკლერომეტრული მეთოდი, ულტრაბგერითი კონტროლის და კაპილარული მეთოდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს ტანდარტებით ГОСТ 17624-87, 22690-88, 21243-75 და სხვა;
12. დაადგინოს მხოლოდ კონსტრუქციებსა და კვანძებში დეფორმაციული პროცესების გაჩენის და განვითარების კერები;
13. ჩამოშლილი კონსტრუქციების გადარჩენილი ნაწილების სახეობის და პარამეტრების დადგენა, კონსტრუქციებიდან სინჯების აღება, რომლებიც ატარებენ მომხდარი მოვლენის დამადასტურებელი ინფორმაციას;
14. შენობის დანაგებობის ფრაგმენტების შესწავლა, მაგალითად, აგურის ან ბლოკის წყობაში გამოყენებული დუღაბის ხარისხი, გასაღების სიმტკიცის მახასიათებლები განისაზღვრება აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის გზით.

ნიმუშები აღებული და გამოცდილი უნდა იყოს სახელმწიფო სტანდარტების (ГОСТ 8462-85, 5802-86, 249992-81) შესაბამისად.

15. ექსპერტმა ყურადღებით

უნდა შეაფასოს და დაადგინოს ჩამოშლილი კონსტრუქციების ურთიერთგანლაგება, კონსტრუქციების დაცალკეული ელემენტების ვარდნის მიმართ ულეხად შენობის ან ნაგებობის რღვევის ზონების განლაგება;

16. თუ საექსპერტო ორგანიზაციის არაფლობის შემთხვევაში, საჭირო ხელსაწყოთა, მასალების ულეხად მოწოდების შესაბამისი აკრედიტებული ლაბორატორიები, რომლებიც აიღებენ ნიმუშებს კონსტრუქციებიდან და ლაბორატორიულად დაადგენენ მათ პარამეტრებს.

მიღებული შედეგების ნამდვილობაზე ლაბორატორიასთან ერთად პასუხისმგებელი ასაექსპერტო ორგანიზაცია, რომელმაც დაიქირავა ლაბორატორია;

17. სამშენებლო ობიექტის ვარიანტის დროს ექსპერტის კვლევის ერთ-ერთი რთული და პირველხარისხიანი ამოცანაა ლითონის კონსტრუქციების დამატი შემადგენელი ელემენტების რღვევის დიაგნოსტიკა,

